# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 მაისი, 2012 წელი.

№81 (6958)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## რეალური ნეიტრალიტეტი

ავსტრიის დეოკუპაცია – 1955 წელი, საქართველოს დეოკუპაცია – 201? წელი... 3



## ლამის ყაჩაღობა, რომელიც პროდუქციას გააძვირებს

სალარო აპარატების ჩეკების გათამაშება გრანდიოზული აფიორაა 5



## მიშას გაკვეთილები



4

## თუ ჯანდაცვა გსურთ, ხმები მოგვეცითო!

5

## როგორ დაამძიმა მსუბუქმა თავმა ფეხები

ვაქა ლორთქიფანიძე: 7

ვერ გამოვრიცხავ, რომ მომავალში რაღაც სინქრონული მოქმედებები მოხდეს, ისე, როგორც 2008 წლის ზაფხულში

## ჩვენი ხელისუფლება თავად იქმნის პრობლემებს

6

## აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისს არ ანებივრებს

8



## მისი სასახელო საქმეები კი არის მისივე საუკეთესო ძეგლი, მაგრამ...

9

# ხალხი კი არ უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის მსახური

## კოალიცია „ქართული ოცნების" მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

**1 მაისი მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში ეს დღე კომუნისტურ რეჟიმთან იყო ასოცირებული და წარსულის ინერციით ბევრი ახლაც ასე თვლის. არადა, 1 მაისი არის არა საბჭოთა, არამედ საერთაშორისო დღესასწაული, მშრომელთა დაფასების და მათი უფლებების პატივისცემის დღე, რომელიც აღინიშნება 80-ზე მეტ სახელმწიფოში — გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში.**

ვულოცავთ ამ დღეს საქართველოს ყველა მშრომელს, მიუხედავად მათი საქმიანობისა, ეთნიკური, სარწმუნოებრივი და სოციალური წარმომავლობისა, და გამოვხატავთ პატივისცემას მათ მიმართ!

ვულოცავთ ასევე ასობით ათას უმუშევარს, რომლებიც დღემდე ცდილობენ, იპოვონ სამუშაო!

ვულოცავთ ყველა დარგის პროფესიულ კავშირებში გაწევრიანებულ ადამიანებს, რომლებიც იბრძვიან მშრომელთა უფლებებისთვის!

შრომის დაფასება ადამიანის დაფასება და პატივისცემაა. სამწუხაროდ, საქართველოში შრომა და მშრომელი არათუ არ არის დაფასებული, პირიქით, მოქმედი შრომის კოდექსით დასაქმებულს პრაქტიკულად არანაირი უფლებები არ აქვს და მისი ბედი მთლიანად დამსაქმებლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

კოალიცია „ქართული ოცნების" დეკლარაციაში მკაფიოდ არის გამოხატული ჩვენი მიზანი — ინტეგრაცია ევროპის დიდ ოჯახში. ამ მიზანს კი, საქართველო მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც ქვეყნის კანონმდებლობაში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად აისახება მშრომელთა უფლებების გარანტიები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოალიცია აცხადებს: **ჩვენ ძირეულად შევცვლით ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოს მოქალაქეთა მიმართ,**

**ჩვენ შევცვლით არსებულ, დისკრიმინაციულ „შრომის კოდექსს" და ბოლოს მოვუღებთ ადამიანთა დისკრიმინაციას, ექსპლუატაციასა და უუფლებობას.**

არც სახელმწიფოს და არც დამქირავებელს არ ექნებათ უფლება, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სამსახურიდან გაათავისუფლონ ადამიანები. მკაფიოდ განისაზღვრება სამუშაო საათების დაშვებული ზღვარი. დეკრეტული შვებულება კი იქნება გარანტირებული და ანაზღაურებადი. კოალიცია ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების საქმიანობას მშრომელთა უფლებების დასაცავად.

**ჩვენ მოვდივართ, რათა შევცვალოთ არა მარტო ხელისუფლება, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკა და მიდგომა ხალხის მიმართ.**

ხალხი კი არ უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლება უნდა იყოს ხალხის მსახური და მათი უფლებების გარანტი.

◎ რა ხდება?

# ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს?!

## ხელისუფალთა საიდუმლო შეხვედრა ფოთში

**ფოთის საკრებულოს დარბაზში პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის დავით ტყეშელაშვილის, სამეგრელოს გუბერნატორის, მუნიციპალიტეტების გამგეობებისა და საკრებულოების ხელმძღვანელთა შეხვედრა დახურულ კადრს მიღმა, ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.**

ჟურნალისტებს შეხვედრის გადაღებისა და დასწრების უფლება მხოლოდ პირველი 5 წუთი მიეცათ. შეხვედრის დახურულ რეჟიმში გაგრძელების მიზეზი არავის დაუკონკრეტებია.

როგორც ტყეშელაშვილმა თავის კომენტარში განაცხადა, შეკრების მიზეზი რეგიონში მიმდინარე და სამომავლოდ განსახორციელებელი სამუშაოებია.

ტყეშელაშვილის თქმით, ერთიანობაში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, 1 მილიარდი ლარის ინვესტიცია განხორციელდება, როგორც კერძო ისე სახელმწიფო სექტორში. მისივე განცხადებით, მთავარი პრობლემა, რომელიც რეგიონს აწუხებს, დასაქმებაა.

მისი ვიზიტის ერთ-ერთ მიზეზად დავით ტყეშელაშვილმა, სწორედ ამ პრობლემის მოგვარება და უკვე განხორციელებული სამუშაოების მონიტორინგი დაასახელა.

ჟურნალისტებთან საუბარში არც მას და არც რომელიმე სხვა თანამდებობის პირს არ დაუსახელებიათ არც ერთი კონკრეტული პროექტი, რომელზეც უნდა ემსჯელათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა ტელევიზიებისა, აღნიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არც ერთ სხვა მედიასაშუალებას არ ქონდა.

**ლაშა ზარგინავა**




◎ ვითარება

# რატომ აუმხედრდნენ ჭორვილის სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები სკოლის დირექტორს?

**საჩხერის რაიონის, სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლაში სკოლის მოსწავლეების მშობლების და პედაგოგების ერთობლივი აქცია ისევ მიმდინარეობს. აქციის მონაწილეები სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენას და მორიგეობას ღამითაც აპირებენ, რათა სკოლაში სკოლის დირექტორი ნოდარ გოგატიშვილი არ შეუშვან.**

აქციის მონაწილეები ჭორვილის საჯარო სკოლის დირექტორისგან გათავისუფლებული 4 პედაგოგის უფლებების დაცვასა და მოსწავლეებისთვის ფორმით, სახელმძღვანელოებით და სხვადასხვა პირობებით უზრუნველყოფას მოითხოვენ, რომელითაც მოსწავლეები წლების განმავლობაში სარგებლობდნენ.

ჭორვილის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგის ნონა ტყემალაძის განცხადებით, მათი მოთხოვნის მიუხედავად, ჭორვილაში რესურსცენტრის დირექტორი არ ასულა.

მისივე თქმით, აქციაზე გამგეობის წარმომადგენლები მალხაზ ლაბაძე და ზურაბ იაშვილი იყვნენ, თუმცა მათსა და აქციის მონაწილეებს შორის ვერანაირი შეთანხმება ვერ შედგა.

რაც შეეხება სკოლის დირექტორს ნოდარ გოგატიშვილს, ის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ატუსთვის" მიმართვას და სკოლის მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოებით და ფორმებით უზრუნველყოფას არ აპირებს.

**„სკოლის მოსწავლეების მშობლები ამჟამად ისევ აქციაზე იმყოფებიან. ისინი აქციას ჩვეულებრივ აგრძელებენ და ჟურნალისტების ჩამოსვლას ელოდებიან. ღამით კი დარაჯობას მორიგეობით გეგმავენ, რათა სკოლის დირექტორმა სკოლის შენობაში შესვლა ვერ შეძლოს",** — განაცხადა ტყემალაძემ.

Presage.tv

◎ პარლამენტი

# პლენარული სხდომების რაოდენობა შემცირდება

**მომავალ პარლამენტში პლენარული სხდომების რაოდენობა შემცირდება, მუშაობა კი ერთი საათით გვიან დაიწყება.**

**პარლამენტის რეგლამენტის პროექტითაც და მოქმედი ნორმებითაც, პარლამენტის სესია ორკვირიანი ციკლით იგეგმება.**

თუმცა, თუ ახლა ერთი კვირა სესიებს ეთმობა, ხოლო მეორე საკომიტეტო მოსმენებს და ამომრჩეველთან შეხვედრას, მომავალ პარლამენტში პირველ კვირას დასაშვები იქნება როგორც პლენარული სხდომის, ისე საკომიტეტო მუშაობის გამართვა. მეორე კვირა კი ჩვეულებრივ დაეთმობა ამომრჩევლებთან შეხვედრას და კომიტეტების მუშაობას.

ასევე, თუ ახლა პლენარული სხდომები პლენარული სხდომის კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს 11:00-დან 19:00 საათამდე უნდა გაიმართოს, მომავალ პარლამენტში სხდომები მხოლოდ ორშაბათს და პარასკევს გაიმართება და ისიც, 12:00-დან 19:00 საათამდე.

ამასთან, თუ დღეს სხდომაზე შესვენება 14:00-დან 16:00 საათამდე ცხადდება, მომავალ პარლამენტში შესვენება ერთსაათიანი იქნება და 15:00-დან 16:00 საათამდე გამოცხადდება.

ამასთან, მოქმედი რეგლამენტით, პარლამენტის პლენარული სხდომა, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ 21 საათამდე, დაწყებული საკითხის განხილვის დასრულების ანდა კენჭისყრის პროცედურის ჩატარების მიზნით.

ახალ რეგლამენტში კი სხდომის 21:00 საათამდე გაგრძელების შესაძლებლობა აღარ არის.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პირიქით კი ყოფილა!

# კონტროლის პალატამ შემომწირველები ათმაგი ოდენობით დააჯარიმა

**კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 341 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, პოლიტიკური სუბიექტის „განახლებული საქართველოსათვის" განხორციელებული შემოწირულობების წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიწვეულნი იყვნენ ის პირები, რომელთაც პარტიას სოლიდური თანხები შესწირეს.**



„ჯი-ეიჩ-ენ"-ის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახსნა-განმარტების დროს, ამ პირებმა პარტიისთვის შეწირული თანხების წარმომავლობის დადასტურება ვერ შეძლეს. მათი შემოსავლები და ხარჯები არაპროპორციული აღმოჩნდა რაიმე დანაზოგის დაგროვების შესაძლებლობასთან.

კონტროლის პალატის მიერ ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციით დადგინდა, რომ შემომწირველთა ნაწილი, როგორც მატერიალურად გაჭირვებული პირი, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, სახელმწიფოსგან საარსებო შემწეობებს იღებს და დაზღვევის უფასო პროგრამით სარგებლობს. პირთა ნაწილს აქვს კომერციული ბანკების დავალიანება, ნეგატიური სესხები, რომლის გადახდასაც მატერიალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ. ზოგიერთ მათგანს კი არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, დღემდე ცხოვრობს ქირით, ან დროებით სარგებლობის მიზნით გაფორმებული აქვს იპოთეკის ხელშეკრულება.

ამ პირებმა ვერ დაასაბუთეს „პოლიტიკური სუბიექტის" ანგარიშზე შემოწირულობის სახით ჩარიცხული თანხების წარმომავლობა და კანონიერება. ადმინისტრაციული წარმოების საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, მათ მიერ პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის" შეწირული თანხები უკანონო შემოწირულობად იქნა მიჩნეული. შემოწირულობის განმახორციელებელი ექვსი პირი კი, კანონის შესაბამისად, უკანონო შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა.

ამ განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე დღით ადრე პარტია „განახლებული საქართველოსთვის" ლიდერებმა მიმართეს დიპლომატიურ კორპუსს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს. მათი თქმით, ლევან გვარმიანმა, მამუკა ჯოლიამ, ლაშა გვასალიამ, გიორგი ოქელმა, მარლენ ხუცურაულმა და ბესიკ მამულაშვილმა შემოწირულობები სრულიად გამჭვირვალედ, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განახორციელეს. კონტროლის პალატას გადაეცა შესაბამისი დეკლარაციები და კანონით დადგენილ 3 დღის ვადაში არანაირი პრეტენზიები მონიტორინგის სამსახურს არ გამოუთქვამს: **„იმის მიუხედავად, რომ შემომწირველებმა დაასაბუთეს თანხების წარმომავლობის კანონიერება, კონტროლის პალატის წარმომადგენლები გამოთქვამდნენ სრულიად უსაფუძვლო ეჭვებს მოცემული ახსნა-განმარტების მიმართ. უდანაშაულობის პრეზუმპცია უგულებელყოფილ იქნა, რადგან არაფრით დასტურდება თუნდაც ვარაუდი, რომ ფულადი სახსრები შემოწირულ იქნა კანონდარღვევით. ყოველივე პოლიტიკური ზეწოლაა, რასაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან.**

**მოგმართავთ თხოვნით სათანადო რეაგირების შესახებ",** — აღნიშნულია განცხადებაში.

**ნატა ნიბლაძე**

№81. ოთხშაბათი, 2 მაისი, 2012 წელი.

პოზიცია

უკვე მეორედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2012 წლის 4 აპრილის ნომერში, დაიბეჭდა ბატონ ომარ ხახაშვილის სტატია: „ნეიტრალიტეტი: რეალური და ვირტუალური“, – სადაც, ავტორი „შეეცადა“ მკითხველისათვის „თვალი აეხილა“ იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე და მისი „სადისკუსიო“ წერილები ნეიტრალიტეტზე, მიზნად ისახავდა, სააკაშვილისთვის მიეცა შესაძლებლობა, რათა მას შეენარჩუნებინა ხელისუფლება?! საქმე ის გახლავთ, რომ მე ერთხელ პასუხი უკვე გავეცი ბ-ნი ხახაშვილისა და ბ-ნი კვარაცხელიას წერილებზე (ამის თაობაზე ბ-ნი ხახაშვილიც აღნიშნავს 4 აპრილის სტატიაში), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა!.. ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი, თუ რატომ „გაუჩნდა ასეთი ეჭვები“ ბ-ნ ხახაშვილს, მდგომარეობს – ქრონოლოგიაში და თემატიკის „ხახაშვილისეულ“ ინტერპრეტაციაში!.. **დიახ, ქრონოლოგიურად ბ-ნი ხახაშვილის სტატიაში ბევრი უზუსტობაა, რომელიც ეხება მის მიერ მოყვანილ ციტატებს ჩემი წერილებიდან, – ნეიტრალიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებით (2008 წლის აგვისტოს ომის წინა და შემდგომი პერიოდის პუბლიკაციების თანამიმდევრობა დარღვეულია)!..** ჩემს ერთ სტატიაში, რომლის სათაურია – „პრეზიდენტ სააკაშვილს ქვეყნის გამთლიანების უნიკალური შანსი აქვს“ – („საქართველოს რესპუბლიკა“, 03.08.2010წ), საუბარია, სწორედ „უნიკალურ შანსზე“ და არა სააკაშვილის მიერ „ხელისუფლების შენარჩუნებაზე“, როგორც ბ-ნი ხახაშვილი „ეჭვიანობს“! **„უნიკალურ შანსში“, მე ვგულისხმობდი სწორედ ნეიტრალიტეტს, რომლის მეშვეობითაც ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების შანსი ექნებოდა საქართველოს, ჰოდა, ამის შეთავაზება ქვეყნის პრეზიდენტისათვის ბ-ნი ხახაშვილის აზრით, თურმე „მიშისტობა“ ყოფილა?!** ამ სტატიას მოყვა ჩემი მეორე წერილი – „პრეზიდენტ სააკაშვილის უკანასკნელი შანსი“! („საქართველოს რესპუბლიკა“, 22.02.2011წ), რომელსაც ბ-ნი ხახაშვილი „რატომღაც არ ახსენებს“?!

არ იფიქროს მკითხველმა და რაც „მთავარია“ ბ-მა ხახაშვილმა, რომ ნეიტრალიტეტის იდეამდე, „ახლახან მიმიყვანა“ რაიმე პოლიტიკურ-კარიერისტულმა და კონიუნქტურულმა მოსაზრებებმა!.. **ამიტომ, დაგისახელებთ ჩემს ძველ სტატიებს – აგვისტოს ომამდე, რომელიც შეეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნეიტრალიტეტის საკითხებს და რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ საქართველო აირიდებდა ომს, დანაწევრებასა და ოკუპაციას!**

პრეზიდენტ სააკაშვილის წლევანდელმა გამოსვლამ საქართველოს პარლამენტში და მის მიერ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიჩუმათებამ (მან ფაქტობრივად არაფერი თქვა ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, რა ჰქონდა სათქმელი?!), კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ამ პრობლემასთან მიმართებაში სააკაშვილის და მისი ხელისუფლების რესურსი ნულის ტოლია! **ამას წინათ კი, მან განაცხადა: „მზად ვარ, მოვაწერო ხელი ხელშეკრულებას, რომ ვცვლი ჩემი და ჩემი მთავრობის ხელისუფლებიდან წასვლას საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებაზე“!.. – სააკაშვილს ეს რომ გაეკეთებინა, ანუ გადამდგარიყო თანამდებობიდან 2008 წლის 26 აგვისტომდე (12 აგვისტოს დაიდო სარკოზი-მედვედევის შეთანხმება), როდესაც რუსეთმა აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა აღიარა“, მაშინ, მართლაც არსებობდა ალბათობა, რომ რუსეთი ამ ნაბიჯს არ გადადგამდა... სააკაშვილს 2 კვირა (12 აგვისტოდან – 26 აგვისტომდე) ჰქონდა დრო მოსაფიქრებლად, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, ვერ შეელია თანამდებობას!... უფრო მეტიც, მედვედევი – სარკოზის მიერ შეადგენილ 6-პუნქტიან გეგმას – 3 პუნქტი დაემატა, რომელსაც სააკაშვილმა ხელი მოაწერა 8 სექტემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“!!!.. დღესაც ცრუობს, მას უნდა ქართველ ხალხს თავი მოაჩვენოს „თავდადებულ გმირად“, მაგრამ უკვე გვიანაა, მან კარგად იცის, რომ რუსეთი (პუტინი) სააკაშვილს არც დაელაპარაკება!.. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ახალ ხელისუფლებას შეეძლება და მთელი იმედები ბიძინა ივანიშვილზეა!!!..**

დღეს, ქართული სახელმწიფოს მთავარი პრობლემაა ქვეყნის დეოკუპაციის, გამთლიანების და 400 000 დევნილის საკუთარ სახლებში დაბრუნების საკითხი! ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვიკარნახებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით უნდა ვაწარმოოთ, საგარეო მრავალვექტორიანი, გამჭვირვალე, ორმხრივ ნდობაზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც სრულად გამოხატავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და მის ევროპულ ორიენტაციას, აგრეთვე, უზრუნველყოფს სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას და ქვეყნის უსაფრთხოებას! სააკაშვილის უგუნურმა ქმედებებმა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ ამერიკისა და რუსეთის გეოსტრატეგიულ დაპირისპირებაზე „გათვლილმა“ პოლიტიკამ გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა საქართველოს 2008 წლის აგვისტოში, რის შედეგადაც რუსეთმა „აღიარა“ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობა“! მანამდე კი, დაგომისისა და მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებების შედეგად, რუსეთი აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც ფიქსირდებოდა ყველა საერთაშორისო დოკუმენტებში და ფორუმებზე! **სანამ სააკაშვილი, ბოკერია და „ძმანი მათნი“ არიან ხელისუფლებაში, მანამდე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება! როდესაც „ნაციონალები“ საუბრობენ „თავისუფალი არჩევანის“ უფლებაზე (მაგალითად, ნატოს წევრობა), ავიწყდებათ, რომ საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, და იქ მცხოვრები აფხაზები და ოსები არ ავლენენ არანაირ სურვილს, რომ ერთიან საქართველოში იცხოვრონ ქართველებთან ერთად. ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ, – „კომპრომისული არჩევანის“ საშუალებით! ნათელია, რომ მესამედ გაპრეზიდენტებული პუტინი (რუსეთი!), თავის გადაფურთხებულს არ ალოკავს“, ანუ, იგი არ მოახდენს ჩვენი სეპარატისტული პროვინციების „დამოუკიდებლობის“ დეზავუირებას, თუ, საქართველოს ახალი ხელისუფლების მხრიდან არ იქნება შეთავაზებული კონფლიქტების მოგვარების კომპრომისული სტრატეგია, რომლის აქტიური, პარიტეტული მონაწილე გახდება დასავლეთი! რუსეთმა, თუ არ გააუქმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარება“, მაშინ, საქართველოს სუვერენიტეტი და ქვეყნის გამთლიანება მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი გააგრძელებს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ არაღიარების პოლიტიკას! ქართველებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ აფხაზები და ოსები უარს არ იტყვიან „დამოუკიდებლობაზე“, თუ რუსეთმა არ მოახდინა „ზემოქმედება“ მათზე, რის შედეგადაც ისინი ერთიანი საქართველოს სუბიექტები გახდებიან! ამავდროულად, აუცილებელია აღდგეს ქართულ-აფხაზური ახალი ურთიერთობები და საგნობრივი დიალოგი, რომელიც უნდა დაეფუძნოს იმ ობიექტურ რეალობას, რომ აფხაზებს დიდი საფრთხე მოელით რუსებისგან და მომავალში სრული ასიმილაციის საფრთხის წინაშე დადგებიან. იგივე საშიშროება ელით ოსებს!** ვერც პროამერიკული და ვერც პრორუსული ორიენტაცია, ვერ შეძლებს უზრუნველყოს საქართველოს დეოკუპაცია, გამთლიანება და უსაფრთხოება. **საქართველო არ უნდა ეცადოს, „დააჯახოს“ ერთმანეთს ბირთვული ზესახელმწიფოები, ამერიკა და რუსეთი, ამით ჩვენს ქვეყანას ვერ გავამთლიანებთ, პირიქით, ქართველთა ინტერესი უნდა იყოს, რომ მოხდეს კონსენსუსი აშშ-სა და რუსეთს შორის საქართველოს საკითხთან მიმართებაში! საქართველოს მომავალმა ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორებიცაა: ავსტრია, შვეიცარია, ფინეთი, შვედეთი (და არა, სინგაპური ან ჰონგკონგი), – და ჩვენი დასავლელი მეგობრების დახმარებით, გეზი აიღოს ევროკავშირისაკენ!** ქართველებისოდენა სისხლი მუსლიმური სამყაროს შეკავებისა და ქრისტეს ჯვრისათვის არც ერთ ევროპელ ერს არ დაუღვრია! თანამედროვე ევროპა კი ქრისტიანული ცივილიზაციის ნაყოფია და, ამგვარად, ქართველებს ჩვენი ადგილი გვაქვს ევროპაში! საქართველოს, ქართველ ერს აქვს ეს რესურსი: პოლიტიკურ-დიპლომატიური, რელიგიურ-ფილოსოფიური, კულტურულ-მენტალური, ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ – ფსიქოლოგიური და სხვა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით და დიდი პოლიტიკური მოთამაშეების ერთსულოვნების შემთხვევაში, მიემატოს ზემოთ ჩამოთვლილ ევროპული ქვეყნების რიგს!



# რეალური ნეიტრალიტეტი

## ავსტრიის დეოკუპაცია – 1955 წელი, საქართველოს დეოკუპაცია – 201?წელი...

საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ სტრატეგიას მიმართავს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ჟურნალისტ ია ანთაძესთან ინტერვიუში ამბობს, რომ კონკრეტული გეგმა, თუ როგორ დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები, მას არ აქვს და ამ საკითხის გადასაწყვეტად, სწორად მიანიშნებს იმის აუცილებლობაზე, რომ გლობალურ პოლიტიკაში უნდა მოხდეს დიდი მოთამაშეების (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი) პოზიციების თანხვედრა, რის შედეგადაც საქართველო იპოვის თავის როლს!. კითხვაზე, – ხომ არ გულისხმობს ეს როლი საქართველოს მხრიდან ნეიტრალიტეტის გამოცხადებას? – პასუხობს, რომ: **„ნეიტრალიტეტს, მე მგონი, ჩვენ ვერ შევძლებთ. ასეთი სუსტი სახელმწიფოს პირობებში, სუსტი ეკონომიკით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რომ ვთქვა, ნეიტრალიტეტისთვის ვიბრძოლებ-მეთქი, – ამის იმედი ნუ გვექნება..“.**

აბსოლუტურად ვეთანხმები მას, რომ ქვეყნის ეკონომიკა სუსტია და სახელმწიფოც სუსტი გვაქვს, მაგრამ ეკონომიკა მოგვარებადი პრობლემაა, თუ ჩვენ გადავჭრით მთავარ საკითხს, ქვეყნის გამთლიანებას, რაც მოხსნის დაძაბულობას რუსეთთან და მოგვეცემა „ამოსუნთქვის საშუალება“ და ეკონომიკური მაჩვენებლებიც აუცილებლად გაუმჯობესდება! აქედან გამომდინარე, – „ნეიტრალიტეტისთვის კი არ უნდა ვიბრძოლოთ“, ბატონო ბიძინა, არამედ – საქართველოს გამთლიანებისთვის! აბა, ისე რა საჭიროა ნეიტრალიტეტი, თუ მისი მეშვეობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერ დავიბრუნეთ?! ამის მისაღწევად კი, ნეიტრალიტეტის, როგორც საშუალების და მეთოდის გამოყენება, ვფიქრობ, არ უნდა გამოირიცხოს! სწორედ ამას არ ითვალისწინებენ ნეიტრალიტეტზე უნდობლობით გამსჭვალული ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები... ეს არ გახლავთ ის ნეიტრალიტეტი, რომელიც ხშირად მაგალითად მოყავთ ამ იდეის მოწინააღმდეგეებს (არადა, თავად ვერაფერს გვთავაზობენ?!), მხედველობაში მაქვს, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელიც იყო ორმხრივი და არც საერთაშორისო გარანტორები ყავდა და არც საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეყრდნობოდა (პირიქით, შეიცავდა ისეთ პუნქტებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ნეიტრალიტეტთან!)! ასევე, არ გამოდგება ამ იდეის საწინააღმდეგოდ მოლდოვას მიერ ცალმხრივად გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, რომელიც არაფრით არ ავალდებულებს არც რუსეთს და არც დასავლეთს!

მე ვსაუბრობ საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ ნეიტრალიტეტზე, რომლის გარანტორები იქნებიან – აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო! კარგად მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი ფრთხილობს (მართალიც არის!), ვინაიდან, ნეიტრალიტეტი, მოსკოვის შემოგდებული თემა იყო და მას პრორუსული ძალები ლობირებდნენ! სწორედ ამ „ლობისტებს“ მივმართე ჩემს ერთ სტატიაში: „ბატონებო, თქვენ კარგად იცით, რომ კრემლს დიდი ხანია, შემუშავებული აქვს საქართველოს „ნეიტრალიტეტის რუსული სცენარი“, – ანუ, ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“, რომლის შესახებაც თქვენ „ბავშვური გულუბრყვილობით“ კითხულობთ – „რას ნიშნავს ეს რუსული ვარიანტი“?! საიდან მოიტანა ამ პოლიტოლოგმა“?! „რას ნიშნავს“ ჩემო „მიამიტო“ ბატონებო და მისი განხორციელება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის იმიტაციას, ეროვნული თავისუფლების პროფანაციას, – სუვერენიტეტის დაკარგვას“!... ამ თემაზე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, სერიოზულად და ქვეყნის სასიკეთოდ არავინ დაფიქრებულა! ჩემი აზრით, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მაშველი ხაზი ნეიტრალიტეტზე გადის! მაგრამ, საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური და ყოველმხრივ დაცული, თუ ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მას ეყოლება საერთაშორისო გარანტორები – აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, გაერო **(რუსეთუმე ლობისტები კი გამოირჩევიან ანტიამერიკული, ანტიდასავლური რიტორიკით და აცხადებენ, რომ მხოლოდ რუსეთი უნდა იყოს საქართველოს ნეიტრალიტეტის ერთადერთი გარანტორი?!)!**

მსგავსი ჩიხური სიტუაცია იყო ავსტრიაში, როცა დასავლეთსა და სსრკ-ს შორის მოლაპარაკებების შედეგად, მეორე მსოფლიო ომის მოკავშირეები შეთანხმდნენ დეოკუპაციაზე... ავსტრიის შემთხვევაში, ნეიტრალიტეტის გამოცხადება განაპირობა შეთანხმებამ სსრკ-სა და მოკავშირეებს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს შორის. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, ავსტრიაში, კერძოდ ვენაში, პირველები საბჭოთა ჯარები შევიდნენ, მაგრამ, ვინაიდან ავსტრიაში კომუნისტური პარტია ძალიან სუსტი იყო, მათ ვერ შეძლეს მარიონეტული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. სსრკ-ის მიერ ავსტრიის ოკუპაცია 1945 წლიდან 1955 წლამდე გაგრძელდა. რუსებმა ამერიკელებს წაუყენეს წინაპირობა, რომლის არსი ასეთი იყო, – რუსები ავსტრიიდან ჯარებს იმ შემთხვევაში გაიყვანდნენ, თუ პარალელურად, მოკავშირეებიც: აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, დატოვებდნენ მათ მიერ დაკავებულ სექტორებს! შეთანხმება შედგა, რის შედეგადაც, – ავსტრიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, რომლის გარანტებიც ოთხივე მოკავშირე გახდა! სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე, 1955 წელს მოხდა ავსტრიის მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის აქტის მიღება (იგი ახლაც ძალაშია!), რომელიც ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანონითაც (კონსტიტუციით) განისაზღვრა. ავსტრია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოში! **სხვათა შორის, იმდროინდელი ავსტრიის (1955წ.) პოლიტიკური ელიტის და საზოგადოების დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ნეიტრალიტეტისა და 1949 წელს, ნატოს შექმნისას, სურდათ ალიანსში შესვლა, მაგრამ მხოლოდ ნეიტრალიტეტის მიღება იძლეოდა ქვეყნის დეოკუპაციის და დემილიტარიზაციის საშუალებას და მათ ეს არჩევანი გააკეთეს! ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ავსტრიელები არ შემცდარან და მათ აიხდინეს –ავსტრიული ოცნება! ქართველებმაც ავსტრიელების სტრატეგია უნდა ავირჩიოთ, – უარი ვთქვათ ნატოში შესვლაზე, თუ ეს გადაწყვეტილება (შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის!) უზრუნველყოფს საქართველოს დეოკუპაციას და გამთლიანებას, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას!**

**დასავლეთში კარგად ესმით, რომ რუსეთი არ შეცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სააკაშვილის წასვლის შემდეგაც, თუ არ იქნება მიღწეული კონსენსუსი ამ საკითხში დასავლეთს, რუსეთსა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას შორის! როდესაც ბიძინა ივანიშვილი საუბრობს დასავლური კურსის ერთგულებაზე, სწორედაც რომ ასეთ „ევროპულ ფუნდამენტში ჯდება ნეიტრალიტეტის ავსტრიული მოდელი“, რომელსაც ამერიკელებიც და ევროპელებიც მოიწონებენ და რუსებსაც დაითანხმებენ ამ მოდელის განხორციელებაზე!!!**



**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

ბაქიბუქის კორიანტელში

# მიშას გაკვეთილები

**მე ამ წერილს „მიშას გაკვეთილები“ არცთუ შემთხვევით დავარქვი. მკითხველი დამეთანხმება, პრეზიდენტი თავის ყოველდღიურ სატელევიზიო სპექტაკლებში, რომლებიც უმეტესად ჩვენში ევროატლანტიკური ტიპის საავადმყოფოების გახსნას ეძღვნება, მიხეილ სააკაშვილი წინასწარ აჩემებულ თემებზე ისეთი ენთუზიაზმითა და პედანტური გულმოდგინებით გვიტარებს გაკვეთილებს, რომ შევარდნაძისდროინდელ სტაჟიან პედაგოგებსაც შეშურდებათ. რა თქმა უნდა, გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც მეტყვიან — მიშა, ბატონო ჩემო, გაკვეთილებს კი არ იძლევა, ტყუილებით დაჭედილი ტელესერიალებით გვაბოლებსო. მე უფლებას ვიტოვებ, ასეთებს არ დავეთანხმო, იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ტყუილი ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში (საქართველოს ვგულისხმობ) სიმართლეზე გაცილებით მიმზიდველად გამოიყურება. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, მიშამ თავი რომ გადადოს და ტყუილების ნაცვლად სიმართლე იღაღადოს, რა შოკის მომგვრელი იქნება იმათთვის, ვინც საზეიმოდ გახსნილი საავადმყოფოს კართან პრეზიდენტის შესახვედრად და ტაშის სატყაპუნოდ სისხამდილიდან იცდის(?!).**

თავისთავად ის ფაქტი, რომ ხალხი თავისი მესიის (მიშაზე მოგახსენებთძ შესახვედრად თუ შესაგებებლად უთენია დგება, როგორც თავად პრეზიდენტმა გურჯაანში სტუმრობისას განაცხადა, მისთვის და მისი მთავრობის წევრებისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა და უდიდესი სტიმული, რომ ღამეც არ დაიძინონ და ტყუილების თხზვაში მთელი 24 საათი გაატარონ. აკი გითხარით, თავად მიშა ამას სიცრუედ კი არა, დღევანდელობის უმშვენიერეს რეალობად წარმოაჩენს და ხალხმა ის უფრო დამაჯერებლად და სიღრმისეულად რომ აღიქვას, ყოველდღიურად გაკვეთილების სახით მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოგვცემს. ამასთან, პრეზიდენტი ითვალისწინებს ძველი თაობის ინფორმაციულ ჩამორჩენილობას და ჯერჯერობით გაკვეთილები არა საყოველთაოდ აღიარებულ ინგლისურ ენაზე, არამედ მშობლიურ ენაზე მიჰყავს. ეს სააკაშვილის მხრივ, რომელიც საქართველოს გაინგლისურენოვნებაზე კარგა ხანია ოცნებობს, ქვეყნისათვის გაწეული დიდი მადლია და ამ დამსახურებას მომავალი თაობა (უკვე ინგლისურენოვანიძ, იმედია, არ დაუკარგავს.

ეს, რა თქმა უნდა, სამომავლოდ, მაგრამ ის, რასაც მიხეილ სააკაშვილი რეგიონებში ცალკეული ობიექტების საგამხსნელო ზეიმობისას უპირველესად წარმოაჩენს ხოლმე და **„რასაც ყველა აღიარებს** (თავად პრეზიდენტის სიტყვებიაძ, **არის ის, რომ რაც საქართველოს მთავრობამ შეძლო, ვერ შეძლო ვერც ერთმა მეზობელმა და ევროპულმა ქვეყანამ — კორუფციის დამარცხება. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მთავარი მიღწევა და ღირსება, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა შევინარჩუნოთ“.**

ამ სიტყვებს პრეზიდენტი სააკაშვილი წამდაუწუმ, ყოველი სატელევიზიო გამოსვლისას, იმიტომ კი არ იმეორებს, რომ ნაადრევი სკლეროზი გასჩენია, არამედ იმიტომ, რომ სხვათა (ოპონენტთაძ გულმავიწყობისა ეშინია. აკი ვერც ასცდა ამ ხათაბალას ჯერ შარშან და ახლა უკვე წლეულს, პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე წლიური ანგარიშით გამოსვლისას. სხდომაზე ჯერ დეპუტატმა ცაგარეიშვილმა აუფრიალა ცხვირწინ პრეზიდენტს კორუფციაში გასვრილ მთავრობის წევრთა მამხილებელი ფოტოები, ხოლო შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პროვოკატორად მონათლულმა ბაღათურიამ თავად სააკაშვილს არმად ნაშოვნი შემოსავლები დაუანგარიშა და პრეზიდენტი თავის ოჯახიან-ნათესავებიანად კორუფციის ჭაობში ჩაფლულად გამოაცხადა. რა თქმა უნდა,



ქვეყნის პირველ პირს შეეძლო ყბედი დეპუტატი პარლამენტის სხდომიდანვე დასასვენებლად ხათუნა კალმახელიძის „აგარაკზე“ გაეგზავნა, მაგრამ დემოკრატის იმიჯმა შეუშალა ხელი და ჯონდის მამამისის ტალახიანი აბაზანითღა დაემუქრა (ეტყობა, თბილისის ბალნეოლოგიური ცენტრი გურჯაანის ახტალაში შეეშალაძ!

რას იზამ, თუ დემოკრატი ხარ, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც თამაშობ დემოკრატობანას, როცა დანაშაულზე წაგასწრებენ და საქვეყნოდ გამოგაჭენებენ, თავს დამნაშავედ თუ არ აღიარებ, ხმა მაინც უნდა გაიკმინდო! არა, არც დანაშაულს ვაღიარებ და არც გავჩუმდებიო, ყოველდღიურად ტელევიზორში გამოვიჭიმები, სინდის-პატიოსნებაზე გაკვეთილებს ჩაგიტარებთ და თუ საჭირო გახდა, ლექციებსაც წაგიკითხავთო. ჰოდა ეს ჩვენი ენერგიული და ჩაუქა პრეზიდენტი, რომელიც მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით სადღეღამისო სამუშაო გრაფიკზეა გადასული, გაკვეთილებსაც გვიტარებს, ლექციებსაც და, თუ არ დაეზარა, ერთდროულად — ორივესაც. რა თქმა უნდა, კორუმპირებულის იმიჯის მიწებებამ მსოფლიოში აღიარებულ დემოკრატიის შუქურას ერთგვარად საქციელი წაუხდინა, მაგრამ ყბედობის შესაშური მადა მაინც ვერ დაუკარგა. პირიქით, ბოლო ხანებში ამ მიმართებით ზოგიერთი ახალი თემაც აითვისა. იყო პერიოდი, როცა პრეზიდენტი ქვეყნის აყვავების დასტურად ეკონომიკის ზრდის პროცენტული მაჩვენებლებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოპონენტებმა შეუტიეს, — რის მაქნისია ამ შენი ეკონომიკის მიღწევები, თუ ხალხი შიმშილით გეხოცებაო, — მიშამ საუბრის მანერა რადიკალურად შეცვალა.

**„ყოველივე ის, რისთვისაც ხელისუფლება იღვწის,** — გვმოძღვრავს სააკაშვილი თავის ბოლო გაკვეთილებში, **— იმისთვის კეთდება, რომ მთავრობა მარტო ციფრებით და მაჩვენებლებით კი არ ელაპარაკოს ხალხს, არამედ უთხრას — რამდენი პროცენტით მეტი შემოსავალი ექნება კონკრეტულ ოჯახს; რამდენი წევრი ეყოლება დასაქმებული; რამდენად ხელმისაწვდომი იქნება მისთვის ჯანდაცვა; რამდენად უკეთეს სკოლაში სწავლობენ მისი შვილები; რამდენად კარგი გზით იმგზავრებს არა მხოლოდ ცენტრალურ ტრასებზე, არამედ საკუთარ სოფელში, მიკრორაიონში და იქ, სადაც ცხოვრობს“.**

როგორც ამბობს ხოლმე ტელემასხარა ვანო ჯავახიშვილი, სიტყვის კაცია პრეზიდენტი, ის თუკი რამეს შეჰპირდა ხალხს, კიდევაც შეასრულებს. სააკაშვილის ხელმწიფობის პერიოდში ვერ გაიხსენებთ შემთხვევას (ყოველ შემთხვევაში თავად არ ახსოვსძ ხალხისათვის სიტყვა მიეცეს და შემდეგ დაელალატებინოს. ამჯერადაც ასე იქნება. აი ნახავთ, გავა მცირე დრო და ადამიანები უშუალოდ საკუთარ ოჯახებში იგრძნობენ ეკონომიკის სტაბილურად ზრდის მადლს. **„როგორც ეს საავადმყოფო გაკეთდა, — უთხრა პრეზიდენტმა გურჯაანელებს, — ასევე კეთდება 150 საავადმყოფო მთელ საქართველოში, რასაც 5-6 უზარმაზარი ცენტრი მოჰყვება თბილისში, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ჯანდაცვის სისტემა ევროპის მასშტაბით — არა სადღაც შორს, არამედ ჩვენს რაიონში, ჩვენს სოფელში, ჩვენს პატარა ქალაქში, ჩვენი სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით“.**

ადრე კი როგორ იყო? ამის გახსენება არასდროს ავიწყდება პრეზიდენტს: „ადრე ელემენტარულ რამეზე გვიხდებოდა თბილისის საავადმყოფოში ჩასვლა, სადაც გვილამდებოდა და ბედის ანაბრად ვრჩებოდით. ექიმები, ექთნები, მედდები ხელებში შემოგვყურებდნენ, ქირურგი ოპერაციას არ იწყებდა, ვიდრე ფულს არ გადაუხდიდი, ქუჩაში რამე რომ დაგმართოდა, სასწრაფოც არ მოვიდოდა, თუ წინასწარ არ ეტყოდი, რომ პოლისი გაქვს“.

აი, ასეთ უსამართლობაში ვცხოვრობდით. ჯანდაცვისა და განათლების მიღების, ცხოვრების საუკეთესო პირობები მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ, ყველა დანარჩენი „თამაშგარე“ იყო. დღეს ყველაფერი ეს, რაც მაშინ მხოლოდ „რჩეულების“ ხვედრი იყო, ყველა მშრომელი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია, რაც თურმე, პრეზიდენტს თუ დავუჯერებთ, ძალიან არ მოსწონთ ზოგიერთებს (კონკრეტულად ვის, არ ასახელებსძ. მათ აღიზიანებთ ის, რომ „მინისტრები და პოლიციის უფროსები ფულს აღარ სძალავენ მოსახლეობას“.

ასეთია ქართველი ნაცების მიერ ბოლო რვა წელიწადში მონაპოვარი მსოფლიო და ადგილობრივი მასშტაბის მიღწევათა მოკლე ჩამონათვალი (ბუნებრივია, ყველას ვერ შევეხებოდითძ, რაც მათ მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ელემენტებს მოსვენებას უკარგავს და რასაც სააკაშვილი თავის გაკვეთილებში, მტრის ჯინაზე დიდი დამაჯერებლობითა და გულმოდგინებით ყოველ ცისმარე დღეს იმეორებს. თუმცა, ზოგჯერ ეზადება კითხვებიც, რასაც არ მალავს და მსმენელთა წინაშე ხალისიანად „აჟღერებს“. ამას წინათ, როცა პრეზიდენტი აგრარულ უნივერსიტეტში ატარებდა მორიგ გაკვეთილს, მოულოდნელად გაუჩნდა კითხვები: **რატომ ხდება, რომ მწირემიწიან ისრაელში ხვავიან მოსავალს იმკიან, ქართველები კი, რომლებსაც მთელ მსოფლიოში საუკეთესო მიწები აქვთ, მცირე მოსავლით კმაყოფილდებიან? ან კიდევ — რატომ არ გაგვაჩნია სოფლის მეურნეობაში თანამედროვე, მოწინავე, ტექნოლოგიები, მაშინ, როდესაც ისრაელიდან ასეთი ტექნოლოგიები დიდი რაოდენობით საექსპორტოდ გააქვთ?**

ვერ გეტყვით, სააკაშვილის მიერ დასმულ კითხვებს სტუდენტებმა რა პასუხი გასცეს, მე კი, როგორც მისი გაკვეთილების აქტიურმა მსმენელმა, მინდა თავი გამოვიჩინო და ვუთხრა: **ბატონო პრეზიდენტო, ნუ მიწყენთ თუ გავკადნიერდები და სიმართლეს გეტყვით — ქართველთა წარუმატებლობის მიზეზი არა უვარგისი მიწა, არამედ მათი უვარგისი და უქნარა ხელისუფლება გახლავთ.** კეთილინებეთ, გზა დაუთმეთ თქვენზე ღირსეულებს და უხერხული კითხვებიც აღარ გაგიჩნდებათ. ამას თუ არ ისურვებთ, იქნებ ზედმეტი კითხვებისგან მაინც შეიკავოთ თავი, თორემ ადვილი მოსალოდნელია, პასუხად მსგავსი (ჩემნაირიძ საჩოთირო აზრები სხვებსაც დაებადოთ.

**ოთარ ხუციშვილი**

„ბავშვური სიტყვების მამაცურად სროლა“

# თამაშგარეშე დარჩენილები... ლობე-ყორეს ედებიან

ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში ბევრ პარტიას აუბნია თავგზა და რა გასაკვირია, სათვალავი ლეიბორისტებსაც არეოდათ. ლეიბორისტები ნამეტანი ცდილობენ მონომახის ქუდის მორგებას, და ისე ჩანან, თითქოს თავიანები იყვნენ. მინდა ლეიბორისტების თავკაცებს შევახსენო ძველი ბერძენი ფილოსოფოსის თალესის სიტყვები: ადამიანებმა უნდა ილაპარაკონ სიმართლე და აკეთონ სიკეთე. ლეიბორისტებს კი კოჭებშივე ეტყობოდათ, რომ ამის გაკეთება არ შეეძლოთ. მათზე ზედგამოჭრილია აკაკი წერეთლის სიტყვები: „ბევრჯერ გამიგონია ჩვენში, რომ ესა და ეს კაცი თავიანიაო; გამიცვნია დაკვირვებით და გამომდგარა, რომ ბოლო თავად მოუღიათ“. ჯერ იყო და ლეიბორისტების ლიდერმა დაგვცოფა, ქართველი ხალხი სათანადოდ ვერ მაფასებს და პრეზიდენტად არ მირჩევსო, ერთხელ, კიდევ ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საქვეყნოდ განაცხადა: მე და ბეიკერი შევთანხმდითო. კაცს ეგონება ბავშვობაში ერთად ეთამაშოთ რიკტაფელა. სულ ახლახან კიდევ შალვა ნათელაშვილმა განაცხადა: „მე ყველაფერს ვიღონებ, რომ სააკაშვილი და ივანიშვილი ციხეში ერთ საკანში ვიხილოო(!?) ვერა და ვერ ისწავლა ამ კაცმა, რომ ენა დიდი განძის დარაჯია. მოკლედ თუ ვიტყვით, ლეიბორისტები ლიტონი სიტყვებით და ცარიელი ფორიანი კანფეტებით ცდილობენ ხალხის გულის მოგებას.

ამჟამად თამაშგარეშე დარჩენილები ლობე-ყორეს ედებიან და გაბოროტებულები სათქმელს ოდნავადაც ვეღარ ზომავენ. ორიოდე დღის წინათ პარტიის ლიდერის მოადგილემ სოსო შატბერაშვილმა ვითომ რიხით განაცხადა: ბიძინა ივანიშვილი საქართველოს სირცხვილიაო. ამ კაცს დაავიწყდა, რომ „დაგიჯერებენ მხოლოდ იმას, რაც თვითონ გჯერა“. ამას რომ კაცი იტყვის, ან ძალიან მიამიტია, ან არაფერი ესმის ან თავს ძალით ისულელებს. მოკლედ ამ სამში ერთი ნამდვილად არის.

ამჯერად ჩვენი ამ პამფლეტის დაწერის მიზეზი კიდევ ერთი ლეიბორისტის კახა ძაგანიას „თიბისი“ ბანკის სათაო ოფისის წინ გამვლელ-გამომვლელებისთვის მოწყობილი აქცია გახდა, რადგან მათ აქციებს აღარავინ ესწრება თავად ორი-სამი ლეიბორისტის გარდა, — როგორც იტყვიან, ერთნაირები ერთად იყრიან თავს. კახა ძაგანიამ მეტად უკმეხად მოიხსენია ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბატონი მამუკა ხაზარაძე და გამვლელ-გამომვლელებს დაპირდა, რომ მალე ბანკის სათაო ოფისი გადაეცემოდათ ბავშვებს. რას იზამ, ყვარყვარე თუთაბერისა არ იყოს, არაფერია იმაზე კარგი, ვიდრე ფუჭი ოცნება. დღეს, როდესაც ქართულმა ბიზნესმა უნდა გადაარჩინოს საქართველო, რომელიც ისედაც მძიმე მდგომარეობაშია, ასეთი გამოხდომები ლეიბორისტების მხრიდან კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. ბატონი მამუკა ხაზარაძე, თავის თანამოაზრეებთან ერთად, საქმიანი თვისებებით, მიზანდასახულობით, თავდაჭერილობით, ცოდნითა და გამოცდილებით გამოირჩევა. სწორედ მათი წყალობით „თიბისი“ ბანკი ერთ-ერთი მოწინავე და მდგრადი ბანკი გახდა, რომელსაც მოსახლეობა ენდობა. ლეიბორისტებს კი ვურჩევ თავს საბოლოოდ ნუ დაიმარხავენ და მოეშვან „ბავშვური სიტყვების მამაცურად სროლას“.

**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი, დემოგრაფი

ბლეფი

# ლამის ყაჩაღობა, რომელიც პროდუქციას გააძვირებს

## სალარო აპარატების ჩეკების გათამაშება გრანდიოზული აფიორაა



**ქართველი ექსპერტების თქმით, სალარო აპარატის ჩეკების გათამაშება გრანდიოზული აფერაა და ამით ხელისუფლება დიდ ფულს შოულობს. ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავას მიაჩნია, რომ ეს დაყაჩაღების შესანიშნავი სქემაა, რადგან, უნებურად, ყველა მომხმარებელი ლატარიის თამაშში იძულებით ერთვება. გარდა ამისა, ეს არის მეწარმეებისთვის წილში ჩაჯდომა, რადგან გათამაშებისთვის საჭირო ფონდის შესაქმნელად, ჩვენს მიერ ნაყიდ პროდუქციაში გადახდილი თანხიდან რაღაც ნაწილი ამ ფონდში უნდა შევიდეს. ამის გამო მეწარმე იძულებული გახდება, პროდუქტს ფასი მოუმატოს.**

ლადო პაპავას თქმით, ხელისუფლებამ ყველაზე მცირე ოდენობის ნავაჭრიდან საშუალოდ 3-5 თეთრიც რომ ამოიღოს, ამით რამდენი მილიონი შემოსავლის მობილიზება შესაძლებელი სახელმწიფო ყულაბაში?! და ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, ლეგალური გზით ხდება.

სატელევიზიო თუ გარე პერიმეტრზე არსებული რეკლამები საზეიმოდ გვამცნობენ, რომ მომხმარებელი შეძენილ პროდუქტზე სალარო აპარატის ჩეკს თუ მოითხოვს, წამახალისებელ გათამაშებაში ავტომატურად ჩაერთვება და 2012 წლისთვის 9 მილიონი ლარით განსაზღვრული საპრიზო ფონდიდან 10, 20, 50, 100-ლარიან მოგებას მიიღებს. გარდა ამისა, თვეში ორჯერ გათამაშდება 10 000 ლარი, ხოლო კვარტალში ერთხელ – 50 000 ლარი.

**საინტერესოა, საიდან ფლობს სახელმწიფო ჩეკების გათამაშებისთვის გამიზნულ თანხებს? საპრიზო ფონდის შესავსებად ხომ არ მიმართავს უკვე არაერთგზის აპრობირებულ მეთოდს – მეწარმეების დაყაჩაღებას?!**

მართალია, ხელისუფალნი ირწმუნებიან, რომ ამ ნოვაციით რეალიზებული საქონლის აღრიცხვის კონტროლი მოხდება და გათამაშებაში ჩართულ მომხმარებელს ჩეკების მოთხოვნის მოტივაცია გაუჩნდება, მაგრამ ჩეკების გამოჩენის შემდეგ მოხერხებული გამყიდველები სულაც არ იწუხებენ თავს მყიდველისთვის ჩეკის გადაცემით. ალბათ, ჩეკების საშუალებით მოგებას თავად ელიან. განსაკუთრებით, ამას ნაცნობი მყიდველების დანახვისას რისკავენ.

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ნოდარ ხადური მიიჩნევს, რომ მისთვის გაუგებარია, საიდან ივსება საპრიზო ფონდი. თუ ეს მომდინარეობს ბიუჯეტიდან, ბიუჯეტის კანონში მსგავსი არაფერი წერია.** ამიტომ, იმაზე საუბარი, რომ ბიუჯეტი საპრიზო ფონდისთვის თანხას გამოყოფს, საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევაა და მასში წყარო არ ჩანს.

გარდა ამისა, ნოდარ ხადური წმინდა ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი განმარტებით, ნებისმიერი გათამაშება და ლატარია ადამიანის ნებაყოფლობით სურვილზეა დამოკიდებული; ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუკი ყველა ადამიანი ჩეკების გათამაშების მონაწილე გახდება, ეს მართლაც არ გამოდის ნებაყოფლობითი სურვილი. მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრ ადამიანს არანაირი სურვილი არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს ასეთ გათამაშებაში.

ყველაზე მნიშვნელოვან დარღვევად კი ნოდარ ხადურს სალარო აპარატის ჩეკების გათამაშების აბსოლუტურად გაუმჭვირვალე პროცესი მიაჩნია.

**„კაცმა არ იცის, რა მექანიზმებით ხდება და მოხდება გათამაშება, რა ალბათობა არსებობს და სხვა. აბსოლუტურად გაუმჭვირვალე პროცესია, თანაც, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს კეთდება მაშინ, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს, ანუ ადმინისტრირებით ისე დაამახინჯეს სალაროებისა და ჩეკების სისტემა, რომ დღეს წამახალისებელი სიტუაციის გამოჩენა, უბრალოდ, დაცინვას ჰგავს“.**

ხადურის აზრით, ასეთი ტიპის წამახალისებელი ღონისძიებების გატარება უფრო უპრიანი იქნებოდა, როცა პირველი ნაბიჯები იდგმებოდა სალაროებთან და ჩეკებთან მიმართებით. კერძოდ, ექსპერტის თქმით, ყველას ახსოვს ის მექანიზმი, როცა ახალგაზრდები მაღაზიებში შედიოდნენ და პროვოცირებას უწევდნენ დანაშაულს, რათა ამ ობიექტებს 500-ლარიანი ჯარიმა გადაეხადათ. ეს წილი კი თავად ამ მოხალისე საგადასახადო ინსპექტორების მიმართულებით მიდიოდა.

**„ვფიქრობ, დღეისთვის ეს აბსოლუტურად გაუმართლებელი პროცესია. თუ ხელისუფლების არგუმენტი ისიცაა, რომ გამყიდველები აქამდე ჩეკებს არ იძლეოდნენ და ამით თანხის „მოტეხვა“ ხდებოდა, ასეთი არგუმენტი არადამაჯერებელია. მსგავსი სიტუაცია, როცა მომხმარებელი ითხოვდა ჩეკს და ვინმე არ აძლევდა, დედამიწის ზურგზე ვერ წარმომიდგენია. მას შემდეგ, რაც სადამსჯელო ღონისძიებებზე დაიწყო ხელისუფლებამ მუშაობა, პრაქტიკულად, ყველა სავაჭრო ობიექტში ანგარიშსწორება ჩეკით ხდებოდა. ასე რომ, მე იმის აუცილებლობას ვერ ვხედავ, რომ გარკვეული წამახალისებელი და ეკონომიკური სტიმულები შემოიღონ, რათა ადამიანებმა ჩეკები მოითხოვონ“.**

ნოდარ ხადურს ისიც აეჭვებს, რომ არანაირი საზოგადოებრივი ზედამხედველობა არ ხორციელდება, რაც ამ პროცესს ნათელს მოჰფენს. არავინ იცის, ვინ იგებს ამ ჩეკებით, რამდენს იგებს ან რატომ იგებს?

**„თუკი ჩეკების შემოღების შემდეგ გამყიდველები უბრალოდ აღარ იძლევიან ჩეკებს, ეს ძალიან საინტერესო პროცესია. არ ვიცი, შესაძლოა, გარკვეულ ქვენა გრძნობებსაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ მოგების ალბათობა იმდენად მცირეა, რომ არა მგონია, გამყიდველმა ამისთვის იმ ფასეულობებზე თქვას უარი, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებს შეეხება“,** – ამბობს ხადური.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დავით ნარმანია საპრიზო ფონდის დაფინანსებასთან დაკავშირებით ხელისუფლების ზეპირ განმარტებებს არასაკმარისად მიიჩნევს.

**„ბიუჯეტში ასეთი მუხლი არ დევს. შესაძლოა, სხვა ხარჯებიდან მოახდინონ დაფინანსება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მოქმედ ბიუჯეტში ცალკე გამოყოფილი საპრიზო ფონდის 9 მილიონი ლარი არ არის. ის ფაქტი, რომ ყველას ჩართვა მოხდა ამ გათამაშებაში, ეს მართლაც ასეა. თუმცა, ეს არ არის კლასიკური ლატარია. ვფიქრობ, რომ ტრანზაქციების რაოდენობა იმდენად ბევრია და საპრიზო ფონდი ისეა შეზღუდული, რომ ეს არ იქნება მაინცდამაინც საზოგადოების მასობრივი კმაყოფილების გამომწვევი“.**

ამის მიუხედავად, აზარტული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არც ისე მცირეა, დავით ნარმანიას შეხედულებით, უკვე დაინტერესდა ამ თემით და ბევრი აგროვებს კიდეც სალარო ჩეკებს.

დავით ნარმანია ადასტურებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში, გამყიდველები სალარო ჩეკებს მართლაც ბეჭდავენ სალარო აპარატიდან, მაგრამ სათავისოდ იტოვებენ, რათა მოგვიანებით თავად შეამოწმონ, რაიმე ხომ არ მოიგო ამ ჩეკმა.

თუ რამ მიიყვანა ხელისუფლება ჩეკების გათამაშების იდეამდე, დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ გამყიდველების მხრიდან მყიდველებისთვის ჩეკების გაუცემლობა ამის არგუმენტად არ გამოდგება.

**„ბოლო პერიოდში იმდენად მკაცრი იყო ადმინისტრირება, რომ ფაქტობრივად, ჩეკს ყველა გამყიდველი გასცემდა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ კარგად გათვალა, რომ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი აზარტულია და ისინი დაინტერესდებოდნენ ამ თემით. ამის მიუხედავად, არც ეს არის მყარი არგუმენტი, თუ რატომ დასჭირდათ ამ ცვლილების განხორციელება. საკუთრივ მათ რომ ვკითხოთ, ისინი ამბობენ, რომ ბრუნვების ლეგალურობისთვის გააკეთეს ეს ყველაფერი, მაგრამ ესეც არ არის მყარი და საკმარისი არგუმენტი“.**

არის თუ არა ეს მეწარმეებისთვის იძულებით ჯიბეში ხელის ჩაყოფა და საპრიზო ფონდისთვის თანხის დაძალებით გაღება?! ამის შესახებ მსჯელობისგან ექსპერტი გარკვეულ დრომდე თავს იკავებს. მისი თქმით, ეს რაიმე დოკუმენტით ან სქემით არ დასტურდება, მაგრამ, ალბათ, დრო გვიჩვენებს და გაირკვევა, დებენ თუ არა საპრიზო ფონდის თანხას მეწარმეები. თუმცა ერთი კია, ადმინისტრირების გამკაცრება თავისთავად ნიშნავს, რომ იმ მეწარმეებს, რომლებიც უფრო ჩრდილში იყვნენ და შემოსავლების გარკვეულ ნაწილს მალავდნენ, გაცილებით მეტი შემოსავლის აღრიცხვა და ბიუჯეტში მეტი გადასახადის გადახდა მოუწევთ.

**„თუ საპრიზო ფონდი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მეწარმეებისგან დაფარავს ამ ხარჯებს სახელმწიფო. ახლა შეიძლება ეს პირდაპირ ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ იყოს, მაგრამ არაპირდაპირი გზით, მათგან მეტი შემოსავლის მოთხოვნას ნიშნავს“.**

გარდა ამისა, გასათამაშებელი ჩეკების შემოღების შემდეგ დავით ნარმანია პროდუქციაზე ფასების გაზრდას ელის, რადგან ადმინისტრირების გამკაცრება ყოველთვის ფასებზე აისახება.

**მარიამ ლოლაშვილი**

მედროვენი

# თუ ჯანდაცვა გსურთ, ხმები მოგვეცითო!

## საშემოდგომო დაზღვევა – ერთ-ერთი მთავარი იარაღი წინასაარჩევნოდ

**სექტემბრიდან მთავრობა დამატებით 800 ათას კაცს დააზღვევს და ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაზღვეული ადამიანების რაოდენობა 2,3 მლნ-ს მიაღწევს. პროექტის განხორციელების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობის ყოველი მეორე ადამიანი სახელმწიფოს მიერ იქნება დაზღვეული. ეს, ერთი მხრივ, კარგიცაა და ცუდიც. კარგია, რომ სახელმწიფო სადაზღვევო სფეროს სტიმულირებას ახდენს, მაგრამ კერძო სადაზღვევო პაკეტების ბაზარზე გამოტანას აზრი ეკარგება. ამასთან, ექსპერტებს კითხვები უჩნდებათ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებითაც.**

**„1-ლი სექტემბრიდან სახელმწიფო დაზღვევით უკლებლივ ყველა ასაკით პენსიონერი და 0-დან 5 წლის ჩათვლით ბავშვები ისარგებლებენ. ასაკით პენსიონერების კატეგორიაში შედიან მამაკაცები 65 წლიდან, ხოლო ქალები – 60 წლიდან. მთავრობის დადგენილებით განვსაზღვრეთ რა ტიპის მომსახურებას მიიღებენ ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ იქნებიან დაზღვეული.**

**საკმაოდ კარგი სადაზღვევო პაკეტის შედგენა მოხერხდა. ასაკით პენსიონერებში ხშირად არის ონკოლოგიური და გულის პრობლემები და, შესაბამისად, საკმაოდ კარგი ლიმიტია ამ მიმართულებით ჩადებული. საუბარია ამ მიმართულებით 15 ათასი ლარის მომსახურებაზე. მნიშვნელოვანია ასევე იმის აღნიშვნა, რომ ყველა პროგრამა, რომელსაც 60 წელს ზემოთ მოქალაქეებისთვის ვახორციელებდით, ისევ განხორცილდება, თუმცა ამჯერად საუბარია 60-დან 64 წლამდე მამაკაცებისთვის, რადგანაც 60 წელს ზემოთ ქალებისთვის სადაზღვევო პაკეტი უკვე იარსებებს“, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.**

რაც შეეხება 0-დან 5 წლის ჩათვლით ბავშვების დაზღვევას, როგორც მინისტრი განმარტავს, ყველაზე პრობლემური დაბადებიდან 28-ე დღეა, როდესაც შესაძლებელია გართულებები და მნიშვნელოვანია, რომ თუ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა, სამედიცინო ჩარევა დროულად მოხდეს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავა, ერთი მხრივ, მიესალმება ხელისუფლების ინიციატივას, თუმცა იქვე ამბობს, რომ ხელისუფლება ამას ამომრჩეველთა გულის მოსაგებად აკეთებს.

**„მთავრობის ახალი ინიციატივა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია იმიტომ, რომ ის მართლაც ყველაზე დაუცველი ფენების დაზღვევაზეა გათვალისწინებული. გასაგებია, ხელისუფლება ამას ახლა რატომ აკეთებს, საარჩევნო პერიოდია და ამით ამომრჩევლების გულის მოგება უნდათ.**

**ერთი პრობლემა არსებობს, რაც ამ პროექტის ფინანსურ უზრუნველყოფასთანაა დაკავშირებული. რამდენად რეალური იქნება ეს თანხები და სადაზღვეო კომპანიებს ხომ არ ჩააგდებენ, ხომ არ აიძულებენ ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რაც თვითონ სადაზღვევო კომპანიებს ძვირი დაუჯდებათ?“** – კითხულობს პაპავამ.

იგი სადაზღვეო კომპანიების გაკოტრებასაც არ გამორიცხავს და აცხადებს, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სადაზღვევო კომპანიებს აიძულებენ თავიანთ თავზე აიღონ ის, რისი უზრუნველყოფაც რეალურად არ შეეძლებათ.

ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი კი აცხადებს, რომ უახლოეს პერიოდში დადგინდება, რა დაუჯდება სახელმწიფოს თითო მოქალაქის დაზღვევა, თუმცა მანამდე თბილისში აუქციონი ჩატარდება, ხოლო რეგიონებში სადაზღვევო პოლისის დაანგარიშება ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ გადაწყდება.

**„ბუნებრივია, ყველა სადაზღვევო კომპანიას აქვს თავისი ფინანსური გათვლები, თუ რა დაუჯდებათ მათ მომავალში ამ ტიპის პროგრამაში მონაწილეობა. აუქციონის შემდეგ დადგინდება ფასი, ასევე ექსპერტები გაიანგარიშებენ, თუ რა დაჯდება რეგიონებში დაზღვევა.**

**დღეს, საშუალოდ, სახელმწიფოს ერთი დაზღვეული 10-11 ლარი უჯდება. დღეისთვის მრავალი ახალი საავადმყოფო გვაქვს და გვიბრუნდება რწმენა ჯანდაცვის სისტემის მიმართ. შესაბამისად, მკვეთრადაა გაზრდილი მიმართვიანობა. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიებისა და ჩვენი გათვლებითაც, სადაზღვევო პოლისის ფასი ცოტა მაღალი იქნება, ვიდრე ადრე იყო“,** – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

**ჯანდაცვის მინისტრის ინფორმაციით, აუქციონი თითოეულ სადაზღვევო პოლისზე 14 ლარიდან დაიწყება. „შემდგომ აუქციონის პირობებიდან განისაზღვრება, თუ რა რაოდენობის თანხა დასჭირდება პროგრამას ბიუჯეტიდან. ჩვენ ფინანსური პრობლემა არ გაქვს. მთავარია, რომ ფასი შეესაბამებოდეს არსებულ მოთხოვნასა და ჯანდაცვის სექტორის მომსახურების დონეს.**

**რაც შეეხება რეგიონებს, „რაიონები თითოეულ სადაზღვევო კომპანიაზეა გადანაწილებული. როდესაც საუბარია სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობაზე, ამ სქემით გავყვებით და თითოეულ რაიონში ისევ ის სადაზღვევო კომპანია იქნება მზღვეველი“,** – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

**გიორგი ბექაური**

**განსჯა**

# ჩვენი ხელისუფლება თავად იქმნის პრობლემებს

## გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი გიორგი ვოლსკი



**– შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პარლამენტში სტუმრობისას განაცხადა, რომ მიესალმება, თუ ვლადიმერ სანაკოევი საქართველოში დაბრუნდება, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოში სრული ინტეგრაციის საქმიანობაში ჩაერთვება და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა განცხადებას გააკეთებს იმის შესახებ, არის თუ არა იგი რუსეთის დაზვერვის აგენტი. როგორ აფასებთ მერაბიშვილის ამ განცხადებას და თქვენი აზრით, რაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას ვლადიმერ სანაკოევი?**

– როგორც მახსოვს, 2006 წლის ბოლოს ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ხელისუფლების პირდაპირი მონაწილეობით, ე.წ. ალტერნატიული პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. რეგიონის ქართველი მოსახლეობა აიძულეს, ამ ანტიკონსტიტუციურ აქციაში მიეღო მონაწილეობა. ვლადიმერ, იგივე ვოვა სანაკოევი ამ „პრეზიდენტის“ ადმინისტრაციაში საქმიანობდა. მას თავი არაფრით გამოუჩენია, თუ არ ჩავთვლით ბერიკაობის მსგავს აქტივობებს სახელწოდებით „კოკოითი ფანდარასტ“. ძალიან მალე აგვისტოს ომის შემდეგ, იგი, ისევე როგორც მისი კოლეგა ალტერნატიული „შინაგან საქმეთა მინისტრი“ ქარქუსოვი, რუსეთში გაიქცა და იქიდან აღიარა, რომ რუსული დაზვერვის დავალებით მოქმედებდა. რა ზომის დანაშაული ჩაიდინა სანაკოევმა საქართველოს წინაშე, რამდენად აწევს მას ქართველი ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის ცოდვა, საპატიებელია თუ არა ეს დანაშაული, ან რა სარგებლობა შეიძლება მან საქართველოს მოუტანოს, ამის განსაზღვრა თავისუფალი საგამოძიებო ორგანოების და სასამართლოს გადასაწყვეტია. ასეთი სტრუქტურები დღევანდელ საქართველოს არ გააჩნია. ერთპიროვნული გადაწყვეტილებების გახმოვანება, თუნდაც მაღალი საპარლამენტო ტრიბუნიდან, სულ მცირე, საქართველოში გამეფებულ ავტორიტარიზმზე მიუთითებს.

**– როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოპოზიციის ლიდერი ალა ჯიოევა აცხადებს, „დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თუ საქართველოს ხელისუფლებაში ივანიშვილი მოვა, მაშინ სამხრეთ ოსეთის ბედი გადაწყვეტილი იქნება“ და სვამს კითხვას, „თუ რუსეთს სამხრეთ ოსეთის დათმობა არ აქვს განზრახული, მაშ რატომ არ არსებობს რეგიონის აყვავებისა და ღირსეული ცხოვრების პოლიტიკური ნება?“ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

– „რეგიონის აყვავებისა და ღირსეული ცხოვრების პოლიტიკური ნების“ არარსებობა არ წარმოადგენს იმის არგუმენტს, რომ რუსეთი ცხინვალის რეგიონის თბილისისთვის ჩაბარებას აპირებს. ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ კოალიციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს მრავალმხრივი მოლაპარაკებების წარმატებას უკავშირებენ. განსხვავებით არსებული ხელისუფლებისაგან, კოალიციას ამის რესურსი ნამდვილად აქვს. ჯიოევას, შესაძლოა, არ ესმოდეს, რომ კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების თემა ქართულ-რუსული ურთიერთობების ფარგლებს მნიშვნელოვნად გასცდა, იგი საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემას უკავშირდება. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე აფხაზეთის ბედი სწორედ ამ კონტექსტში გადაწყდება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება.

**– 24 აპრილს გალში დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ანდჟეი ტიშკევიჩი პერსონა „ნონ გრატად“ გამოაცხადა. თქვენი აზრით, რა გახდა დე ფაქტო მთავრობის დემარშის რეალური მიზეზი და არსებობს თუ არა ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლის საფრთხე?**

– რუსეთის პოლიტიკური ელიტა მიმდინარე წლის 24 აპრილს ევროკავშირის მაღალი დონის დელეგაციის სოხუმში სტუმრობის გამო დაიძაბა, რომელსაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკმაოდ გულთბილი შეხვედრა ჰქონდა. ამდენად, ტიშკევიჩის წინააღმდეგ გალაშქრებას მოსკოვის ინტერესი უდევს საფუძვლად. მას ოკუპირებულ ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოჩენა არ აწყობს. თავის დროზე, 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოს რეალური შანსი ჰქონდა, აფხაზეთში გაეროს სადამკვირვებლო მისია და უშიშროების საბჭოზე მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესრულების განხილვის რეჟიმი შეენარჩუნებინა. საქართველოს ხელისუფლების პოზიციის გამო ეს არ მოხერხდა. ამით კვლავ რუსეთმა იხეირა. ჟენევაში რუსეთი თავს უფრო კომფორტულად გრძნობს. დღეს რუსეთის ინტერესებში საერთაშორისო თანამეგობრობასთან დაპირისპირების გაღრმავება არ შედის. დიდი ალბათობით იგი საქართველოს ხელისუფლების მორიგ შეცდომებს თუ გადაცდომებს ელოდება და ჟენევის მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნებას ახალ გარემოებებში, გარკვეული პოლიტიკური უპირატესობებით ამჯობინებს.

**– აფხაზეთის დე ფაქტო ფაქტო ხელისუფლება სადამკვირვებლო მისიის საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იმას ასახელებს, რომ მისიას საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული ჯგუფების ფორმირების პროცესი უყურადღებოდ დარჩა, რის შესახებ ინფორმაცია ცალკეულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა გაავრცელეს. ფიქრობთ თუ არა, რომ ირაკლი ალასანიას განცხადებამ, გარკვეულწილად, მართლაც ავნო სახელმწიფო ინტერესებს?**

– **პირველი,** ირაკლი ალასანია საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მისმა განცხადებამ ხელისუფლების მხრიდან სწორედ ზემოთ აღნიშნული გადაცდომების დაშვების პრევენცია მოახდინა. კერძოდ, რუსეთმა მშვენივრად იცის, ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს რა ხდება (ისევე როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა ხდება აფხაზეთშიძ. რუსეთს შეეძლო, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ფორმირებების შექმნის თემა პროვოკაციებისთვის გამოყენებინა. ახლა ამ თემას საერთაშორისო თანამეგობრობა საგანგებო კონტროლზე აიყვანს და ეცდება, რომ იგი ჟენევის მოლაპარაკებების ჩაშლის არგუმენტად არ იქცეს. გაუგებარი მხოლოდ ერთი რამაა – რატომ ცდილობს ხელისუფლება ამ გადაცდომების დაშვებას. **მეორე,** როგორც ზემოთ აღვნიშნე, ევროკავშირის წინააღმდეგ გალაშქრება აფხაზების ინტერესებში არ შედის. უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნის შესახებ მათ ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებები მოსკოვის კარნახით ერთ-ერთ (ზოგადძ და არა ერთადერთ არგუმენტად მოიყვანეს. ახლა საქართველოს სახელისუფლებო პროპაგანდა რუსეთის ამ „არგუმენტების“ გამოყენებას ცდილობს. ოფიციალური მოსკოვის და თბილისის ინტერესთა ასეთი დამთხვევა პირველი შემთხვევა არაა. **მესამეც,** საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რუსეთთან მედგარი მებრძოლის იმიჯი მოირგოს. სინამდვილეში შეიარაღებული ფორმირებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არჩევნებზე ზეგავლენის ბერკეტების გასაძლიერებლად იქმნება. ხელისუფლებამ ამ პროცესის ლეგალურ სარეზერვო სამხედრო სამსახურთან დაკავშირება მოგვიანებით დაიწყო. თუმცა ისიც კარგადაა შესასწავლი, თუ როგორი რეზერვი სჭირდება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და რამდენად დიდია მისი პოლიტიზების საფრთხე. რა, არა გვაქვს ჯარის, პოლიციის თუ ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის პოლიტიზაციის მაგალითი? **მეოთხე,** რუსეთის და მისი ზეწოლით აფხაზეთის მხარის პოზიცია არა ალასანიას განცხადებებმა, არამედ ხელისუფლების კონკრეტულმა მოქმედებებმა განაპირობა, უშიშროების საბჭოს სამდივნოს არაადეკვატური პოზიციის ჩათვლით.

**– და ბოლოს, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წესდებაში, პარტიის მიზნებს შორის წერია: „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შიდა კონფლიქტების მოგვარება“. კონკრეტულად, რას გულისხმობთ, „შიდა კონფლიქტებში?“ ის, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ვერ აკონტროლებს, შიდა კონფლიქტის შედეგია, თუ რუსული ოკუპაციის?**

– ჩვენ კონფლიქტი არა მარტო რუსეთთან გვაქვს. რა შეფუთვაშიც არ უნდა ვეცადოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი კონფლიქტების დახასიათება, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არსებობს. მათი დედები ისევე ტირიან დაღუპულ შვილებს, როგორც – ჩვენი. ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური ტერმინებია და არაფერი აქვთ საერთო ზოგადად ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებების ურთიერთობებთან, თუნდაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ღმერთმა დაგვიფაროს! ამასთანავე, შიდა კონფლიქტების განხილვა რუსეთის ფაქტორის გარეშე შეუძლებელია. გარკვეულწილად ამას თავად რუსეთიც არ უარყოფს. რუსეთმა შიდა კონფლიქტებით არა მარტო ისარგებლა, არამედ პროცესების წამახალისებლად და უშუალო მონაწილედაც მოგვევლინა. საქართველოს ხელისუფლების არაადეკვატური პოლიტიკის გამო კი დღეს რუსეთი რეგიონების ტერიტორიების ოკუპაციას და სამხედრო-პოლიტიკურ ათვისებას განაგრძობს. კონფლიქტების მოსაგვარებლად და დეოკუპაციისათვის საერთაშორისო მონაწილეობით მოლაპარაკებების წარმართვაა საჭირო არა მარტო რუსეთთან, არამედ აფხაზურ და ოსურ მხარეებთანაც. ანალოგიურია ამ პრობლემისადმი საერთაშორისო დამოკიდებულებაც. ამის თაობაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა გასული წლის ნოემბერში საქართველოში ვიზიტისას და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა იმავე წლის დეკემბერში ჩატარებული ეუთოს მინისტერიალზე გამოსვლისას განაცხადეს. საააკაშვილის ხელისუფლებას ასეთი მოლაპარაკებების რესურსი არ გააჩნია და რიტორიკით საქმის კეთების ილუზიას ქმნის. ხელისუფლების ცილისმწამებლური პროპაგანდისტული შემოტევების მიზეზი სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციებისა და „ქართული ოცნების“ პოზიციების თანხვედრაა. უფრო მეტიც, დასაშვებია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ან თავად მოახდინოს, ან რუსეთს მისცეს ვითარების დაძაბვის პროვოცირების საშუალება. ამიტომ ყველაფერზე ღიად არის საჭირო საუბარი. ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის შემდეგ საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები მოიხსნება.

**ნინო ჩიჩუა,**

**„პირველი“**

**დასაქმება**

# გიხაროდენ - მთელს სამყაროში პირველები ვართ!

## უმუშევრობა: მსოფლიოში – ყოველი მე-16, საქართველოში – ყოველი მე-6

**საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ინფორმაციით, წლის ბოლოსთვის პლანეტაზე უმუშევართა რაოდენობა 200 მილიონს გადააჭარბებს, რაც დედამიწის შრომისუნარიანი მოსახლეობის 6,1%-ია. ეს იგი ყოველი მე-16 ადამიანი უმუშევარი იქნება. ამ მხრივ საქართველოში გაცილებით უარესი ვითარებაა. თვით ოფიციალური სტატისტიკითაც კი ქვეყანაში ყოველი მეექვსე ადამიანი დაუსაქმებელია.**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, 2008-09 წლებში გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, სამუშაო დაახლოებით 50 მილიონმა ადამიანმა დაკარგა.

**„კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იქნება 2012 წლის ბოლოსთვის, განსაკუთრებით ევროპაში მიმდინარე კრიზისის ფონზე, როდესაც არსებული მდგომარეობიდან გამოსავალი ჯერ კიდევ არ ჩანს და მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. წლის ბოლოსთვის პლანეტაზე უმუშევართა რაოდენობა რეკორდულ მაჩვენებელს – 200 მილიონს მიაღწევს“,** – ნათქვამია ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში.

სპეციალისტების პროგნოზით, შრომის მსოფლიო ბაზარი კრიზისამდელ დონეს, საუკეთესო შემთხვევაში, 2016 წელს დაუბრუნდება. საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ევროპის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის დასაქმების პრობლემას მთავრობის მკაცრი საბიუჯეტო ეკონომია ამწვავებს.

**უმუშევრობა, ბოლო წლების ტენდენციით, ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მუდმივად მოუგვარებელი პრობლემაა. ამ მხრივ საქართველო მსოფლიო ტენდენციას არათუ ფეხდაფეხ მისდევს, არამედ მოწინავე „უმუშევარი ქვეყნების“ ავანგარდში დგას. რაც დროს გადის, საქართველოში მით უფრო იკვეთება დასაქმების უპერსპექტივობა.**

**ამ ცოტა ხნის წინათ აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის – NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებში გამოკითხულთა 63 პროცენტმა ყველაზე მტკივნეულ საკითხად სწორედ დასაქმება მიიჩნია.**

პროფკავშირებში აცხადებენ, რომ **საქართველოში მდგომარეობა ბევრად მძიმეა, ვიდრე მას ესა თუ ის კვლევა აჩვენებს. ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის ეთერ მათურელის მტკიცებით, მდგომარეობა საგანგაშოა და ქვეყანაში უმუშევრობის რაოდენობა ოფიციალურად დასახელებულ მონაცემს ბევრად აჭარბებს.**

ეკონომიკის ექსპერტის ირაკლი ლეჟავინაძის თქმით, **საქართველოში უმუშევრობის პრობლემის პარალელურად არსებობს სხვა მრავალი პრობლემა, რომელიც დასაქმების მხრივ ნეგატიურ სურათს ქმნის. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესია კვალიფიკაციის პრობლემა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი.** ამავე დროს, არსებობს ჭარბი მუშახელი, რომელიც დაუსაქმებელია.

**„ჩვენთან მაღალია „იმედდაკარგული მუშახელის“ რაოდენობა, რომლებიც არ ეძებენ სამუშაოს, რადგან არა აქვთ დასაქმების იმედი, განსაკუთრებით 32-54 წლის ასაკის ადამიანებში“,** – აცხადებს ლეჟავინაძე.

ეთერ მათურელის აზრით, ქვეყანაში პროფესიონალებზე მოთხოვნა ყველა სპეციალობაში შეიმჩნევა, მაგრამ ცალკეული სტრუქტურების ხელმძღვანელთა მხრიდან არსებული დისკრიმინაციის გამო ამა თუ იმ სპეციალობის მიმართ მოთხოვნა ნაკლებად აქტიურია.

**„საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ძალიან მწვავეა და მდგომარეობა უკეთესობისკენ არ იცვლება. ამჟამად გაყიდვების მენეჯერი არის მოთხოვნადი პოზიცია იმიტომ, რომ არის ახალი სფერო და მაღალანაზღაურებადია.**

**არანაკლებია მოთხოვნა ექიმისა და პედაგოგის პროფესიებზე, მაგრამ ამ დარგში დასაქმებულების დისკრიმინაცია ხდება. ამის გამო, ეს პროფესიები არ არის პოპულარული. საქართველოში ნებისმიერ პროფესიაზეა მოთხოვნა, რადგანაც არის კარგი სპეციალისტების დეფიციტი. ყველა სპეციალობაში გვჭირდება პროფესიონალი, მაგრამ დაბალი ანაზღაურების გამო, რიგი პროფესიები მოთხოვნადად აღარ მიიჩნევა. აქტიურია ის პოზიცია, სადაც მაღალი ხელფასი ეგულებათ“,** – აცხადებს ეთერ მათურელი.

**ეკა ბაქრაძე**

# როგორ დაამძიმა მსუბუქმა თავმა ფეხები

## ვაჟა ლორთქიფანიძე: ვერ გამოვრიცხავ, რომ მომავალში რაღაც სინქრონული მოქმედებები მოხდეს, ისე, როგორც 2008 წლის ზაფხულში



**სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლება ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატიდან გასვლით იმუქრება და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელის პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. მიზეზად ოკუპირებული საზღვრის მიმდებარედ ქართული მხარის მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნას და ევროკავშირის მონიტორების მიერ ასეთი ფორმირებების „ვერ შემჩნევას“ ასახელებს.**

**სოხუმის ამ პოზიციამ საფრთხე შეუქმნა ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ მხარეებს შორის დიალოგის ერთადერთი მექანიზმია. რა არის ამის მიზეზი? რატომ ვერ ახერხებს ოფიციალური თბილისი აფხაზებთან პირდაპირი დიალოგის წარმოებას, თუნდაც — არაფორმალურ ფორმატში? რა მემკვიდრეობა ჩაიბარა ამ თვალსაზრისით ვარდების ხელისუფლებამ? და — შედეგი, რომელიც კონფლიქტების მოგვარების მიხეილ სააკაშვილისეული პოლიტიკის შედეგად დადგა.**

**Presage.tv ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარეს, 1995-1998 წლებში საქართველოს ელჩს რუსეთში და ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს ესაუბრა.**

**— სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველოში აკრედიტებულ დიპკორპუსთან ურთიერთობის შეწყვეტას აპირებს, ხოლო ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. მიზეზად დასახელდა ის, თითქოს ევროკავშირის მისია ოკუპირებული რეგიონის საზღვართან ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ შეიარაღებულ ჯგუფებს ქართული მხარე არ იმჩნევს. როგორ შეაფასებთ აფხაზური მხარის ამ განცხადებას?**

— აფხაზური მხარის ამ განცხადებას ორი მხარე აქვს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია, გაუგებარია და არც ერთ ფორმაში არ თავსდება. სოხუმის ეს განცხადება მოსკოვის, სულ ცოტა, რეკომენდაციით, უფრო კი — მისი მითითებით გაკეთდა. მიზანი ერთია — ამ მტკივნეული პროცესის მოწესრიგების კუთხით მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს საერთაშორისო ორგანიზაციები როგორმე ჩამოსცილდნენ.

ასეთ დროს მოსკოვმაც და სოხუმმაც უხეშ საბაბად შეიძლება გამოიყენოს ის, რაც ხდება ჩვენს ტერიტორიაზე. ვგულისხმობ შეიარაღებული ფორმირებების თემას.

მეორე — აფხაზებმა ისიც კარგად იციან, რომ თუ იქ შეიარაღებული ფორმირებები იქმნება, ეს შიდა გამოყენებისთვისაა და მათ წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ არჩევნებს და სხვა შიდაპოლიტიკურ მომენტებს უკავშირდება. თუმცა, ბუნებრივია, ამას იყენებენ.

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ აფხაზური მხარის ამ განცხადების საბაბი ირაკლი ალასანიას მიერ გახმიანებული ინფორმაცია გახდა, თითქოს ხელისუფლება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნის, რომელიც არც ერთი ძალოვანი უწყების სტრუქტურაში არ თავსდება.**

— მმართველი გუნდის წარმომადგენელთა მხრიდან ალასანიას მისამართით მსგავსი ბრალდებების გახმიანება უსუსურია, ვინაიდან აფხაზები ამ განცხადებას მაინც გააკეთებდნენ, იმის მიუხედავად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ამას იტყოდა თუ არა. ვფიქრობ, უკეთესია, განსაკუთრებით კი — საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, რომ ამ ფაქტებს სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლებმა მიაქციეს ყურადღება პირველად და არა აფხაზებმა.

ამდენად, იმის გამო, რაც ხდება, ხელისუფლებამ ოპოზიციის ლიდერების მისამართით საყვედურები კი არ უნდა გამოთქვას, არამედ დასკვნა უნდა გააკეთოს და კარგად იცოდეს, რომ ამ ტიპის ნებისმიერი დაჯგუფების შექმნა და წახალისება, რამდენადაც არ უნდა იძახონ, რომ ეს ქვეყნის შიდა ინტერესებს ემსახურება, მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. ამიტომ, პრობლემიდან გამომდინარე, დასკვნა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს.

**— როდესაც ირაკლი ალასანიამ ეს ინფორმაცია გაახმიანა, რამდენად ადეკვატური იყო მასზე ხელისუფლების რეაქცია?**

— დავიწყოთ იმით, რომ მსგავსი ტიპის შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება კატეგორიულად მიუღებელია და ხელისუფლებას ეს არ უნდა დაეშვა. საკუთარი პოლიტიკური მიზნისთვის ყველა საშუალების გამოყენება დაუშვებელია.

ამდენად, ხელისუფლებას ალასანიას განცხადებების შემდეგ ამ ყველაფრის უარყოფა კი არ უნდა დაეწყო, სისულელეები კი არ უნდა მიეწერა მისთვის და პროვოკაციული კი არ უნდა ეწოდებინა, არამედ სწორი გზით უნდა წასულიყო. მოხდა პირიქით — გააკეთეს აქცენტი იმაზე, რაც ყველაზე მეტად გაალიზიანებდა და გააღიზიანა კიდევაც კონფლიქტის აფხაზური მხარე.

კერძოდ, ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ ეთქვა — გავარკვევთ და, თუ მართლაც უკანონო ფორმირებებთან გვაქვს საქმე, სათანადო ზომებს მივიღებთო, განაცხადა — ეს დაჯგუფებები ჩვენი რეზერვისტები არიან და არა უკანონო ფორმირებებიო.

ამ განცხადებებით, ფაქტობრივად, შეიარაღებული ესკალაციის დემონსტრირება და რაღაცა საომარი მოქმედებების წამოწყების თუ არა, მზადების ესკალაცია მაინც მოახდინეს. ამას დაამატეთ პრეზიდენტის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიერ დაანონსებული და რეკლამირებული ქართული წარმოების ახალი საბრძოლო ტექნიკა და იარაღის ჟღარუნი.

**— ეს ყველაფერი ერთად ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სააკაშვილი რაღაცისთვის ემზადება?**

— რასაკვირველია, სოხუმში ამ განცხადებების გაკეთებამდე კარგა ხნით ადრე ვთქვი, რომ ხელისუფლების ამ ქმედებებს ზუსტად ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა, რადგან ის, რაც ხდებოდა, არის შეიარაღებისა და დაძაბულობის ესკალაცია.

**— ანუ დაძაბულობის ესკალაცია, თავიდან, პირველი ნაბიჯიდან, ბოლომდე ხელისუფლებამ გამოიწვია. ხელისუფლებას სიტუაციის ასე გამწვავება ხელს რაში უნდა აძლევდეს?**

— ვერ გეტყვით ხელს რაში აძლევთ, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ სიტუაცია, რომელიც შეიქმნა, ხელისუფლების უგუნურებამ გამოიწვია. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ამას ვერ გამოვრიცხავ, რომ მომავალში შესაძლოა რაღაც სინქრონული მოქმედებები მოხდეს ისე, როგორც ეს 2008 წლის ზაფხულში მოხდა და შემდეგ გადაიზარდა საომარ პროცესებში. შეიძლება იგივე მოხდეს ახლაც და მერე ხელისუფლებამ გამოაცხადოს, რომ რა დროს არჩევნებია, არჩევნებს არ ჩავატარებო. თუმცა ფაქტია, რომ ასეთი ფორმირება შიდა მოხმარებისთვის შეიქმნა და გათვლილი იყო ოპოზიციის დასაშინებლად.

**— ანუ ეჭვობთ, რომ, თუ დასჭირდა, არჩევნების ვადის გადასაწევად ხელისუფლება შეიარაღებულ ესკალაციასაც არ მოერიდება?**

— დიახ, უგუნური ხელისუფლებისგან ეს გამორიცხული არ არის.

**— როდესაც ვსაუბრობთ ხელისუფლებაზე, ის არ გულისხმობს ერთ კონკრეტულ ადამიანს, არამედ ადამიანების ჯგუფს, რომელსაც ქვეყნის მართვაზე აქვს პასუხისმგებლობა აღებული. ეს ჯგუფი სრული შემადგენლობით წავა ასეთ ნაბიჯზე?**

— სამწუხაროდ, ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებას ერთი კონკრეტული ადამიანი იღებს. ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ასეა.

**— ადამიანები, რომლებსაც აქვთ შეხება აფხაზურ მხარესთან, აღნიშნავენ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს და 2008 წლამდეც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები უკვე რაღაც საიმედო ნიშნულამდე მივიდა. აგვისტოს ომმა კი, ყველაფერი წაშალა...**

— ამ პროცესებში 2001 წლამდე ვმონაწილეობდი. მაშინ ჩვენ ბევრი ისეთი ნაბიჯი გადავდგით, რომლებიც ამ ურთიერთობების გაღრმავებას უწყობდა ხელს. მართალია, კონფლიქტი საბოლოოდ არ იყო მოგვარებული, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, ჩვენ გავაჩინეთ ჟენევის პროცესი, ახლა რომ დაბრძანდებიან ეს ბიჭები. ეს ამათი დაწყებული არ არის, მაგრამ დღეს, ამას აღარ იმჩნევენ. ეს პროცესი 1996-1997 წლებში დაიწყო და არა 2003-2004 წლებში.

**— თუმცა, მაშინ ეს პროცესები, არცთუ დადებით აღიქმებოდა.**

— დიახ, მაშინ ამ მოლაპარაკებების მიმართ იყო უარყოფითი დამოკიდებულება, იყო შემოტევები — ხომ არ ნიშნავდა ეს ტერიტორიების აღიარებას?.. ჩვენ შევძელით და მასში ჩვენი, ასევე გაეროს და საერთაშორისო თანამეგობრობის მეტად დიდი ძალისხმევა ჩაიდო. შევძელით ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა. მაშინ არსებობდა „საქართველოს მეგობარი ქვეყნების ინსტიტუტი“ და მასში 5 ქვეყანა შედიოდა. სწორედ მათი ძალისხმევით შევძელით ჩვენ, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი შეგვექმნა და აგვემოქმედებინა. შევძელით ისიც, რომ ერთადერთი შუამავლიდან რუსეთიც ერთ-ერთ ხელშემწყობ მხარედ გადავაქციეთ. შეიქმნა ოთხი მუდმივმოქმედი კომისია და ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი წინსვლა იყო.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კონფლიქტის მოგვარების კუთხით არა მხოლოდ გაერომ მიიღო, არამედ მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევა მოვახერხეთ დსთ-ს ფორმატშიც. ამასთან ერთად, მოვახერხეთ ის, რომ აფხაზურ მხარესთან პირდაპირი დიალოგი განვითარდა.

**— კონკრეტულად, რა მნიშვნელოვან მიღწევებზეა საუბარი?**

— გახსოვთ, ალბათ, რომ აფხაზი ლიდერები ჩამოდიოდნენ აქ. თვით არძინბაც კი ჩამოვიყვანეთ. ე.წ. მინისტრები და პრემიერ-მინისტრები თბილისის ხშირი სტუმრები იყვნენ. ჩვენც ხშირად ჩავდიოდით სოხუმში და პირდად მე აფხაზეთის ყველა სოფელი მაქვს შემოვლილი.

**— კეთილგანწყობა თუ შეინიშნებოდა აფხაზური მხრიდან?**

— რა თქმა უნდა, შეინიშნებოდა და ეს პროცესი უკვე საკმაოდ შორს იყო შესული. გაეროს დახმარებით და ჩემი ინიციატივით განხორციელდა პროექტი - „ზომები და ღონისძიებები ნდობის ამაღლების მიზნით“. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ გავმართეთ შეხვედრა ოცდაათამდე ყველაზე შეურიგებელი პოლიტიკოსისა როგორც — კონფლიქტური, აფხაზური, ისე — ქართული მხრიდან. 1998 წლის ოქტომბერში გაეროს ეგიდით ათენში ერთმანეთს პირველ რიგში შევახვედრეთ აფხაზი პოლიტიკოსები და ქართველი პოლიტიკოსები აფხაზეთიდან. ეს შეხვედრა ათ დღეს გრძელდებოდა და მეტად მნიშვნელოვანი შედეგებით დასრულდა, რადგან ფაქტობრივად მოხდა დიდი შერიგება.

ყველაზე შეურიგებელმა და რადიკალმა აფხაზებმაც, მათ შორის — „აიდგილარას“ წარმომადგენლებმაც კი, სთხოვეს აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს პოლიტიკოსებს — აუცილებლად უნდა დაბრუნდეთ აფხაზეთში, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს და ერთად უნდა ვიცხოვროთო.

შემდეგი შეხვედრა სტამბოლში გაიმართა და 25-25 საველე მეთაური შევახვედრეთ ერთმანეთს. ამ შერიგების პროცესსაც ბევრი ჟურნალისტი ესწრებოდა. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით წინ. ვიდრე ამ პროცესებში ვიყავი, 2001 წლამდე, ეს ყველაფერი ზუსტად ასე იყო. დიალოგი უნდა გაგრძელებულიყო. სამწუხაროდ, შემდგომ წლებში ყველაფერი შეწყდა და მივიღეთ ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს.

**— დსთ-ს მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები რაში გამოიხატებოდა?**

— 1996 წელს დსთ-ს სახელმწიფოებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად, გაერთიანების ყველა წევრს ეკრძალებოდა აფხაზეთთან სავაჭრო, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა ტიპის თანამშრომლობა საქართველოსთან შეთანხმების გარეშე. და ეს ყველაფერი მაშინ რეალურად განხორციელდა. ჩვენი ნებართვის გარეშე აფხაზეთში არც ერთი გემი, ერთი გრამი ნავთობიც კი აღარ შედიოდა. აფხაზეთში მიმავალი ყველა გემი არა რუსეთიდან, არამედ თურქეთიდან შემოდიოდა ფოთში, მოწმდებოდა და შეთანხმების მიხედვით შედიოდა აფხაზეთში. მერე ამას დაარქვეს აფხაზებმა ბლოკადა. ამ შეთანხმებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს (დე იურე ისინი დღესაც საქართველოს მოქალაქეები არიანძ არ შეეძლოთ წასვლა უცხოეთში, თუ არ ექნებოდათ ჩვენი ნებართვა. ამას მოყვა ის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ათასობით აფხაზმა ქართული პასპორტი აიღო ეს იყო 1997-1998 წლები და ამის გადამოწმება შეიძლება.

შემდეგ ნახეთ, რა მოხდა 2004 წლიდან, როდესაც დღევანდელი მმართველი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. ათასობით აფხაზმა უკვე რუსული პასპორტების აღება დაიწყო და ეს დამთავრდა იმით, რომ ისინი გამოცხადდნენ რუსეთის მოქალაქეებად, ბოლოს კი ამ ტერიტორიის მთლიანი ოკუპაცია მოხდა. შეადარეთ, რაც მე მოგიყევით და რა მდგომარეობა იყო მერე, და თქვენ თავად ნახავთ რეგრესი იყო ჩვენი მხრიდან თუ პროგრესი.

**— რამ გამოიწვია 2004 წლის შემდეგ მათი პოზიციების ასე მკვეთრად შეცვლა?**

— ბევრმა მიზეზმა, პირველ რიგში, ალბათ, ამ ხელისუფლების აბსოლუტურად უგუნურმა პოლიტიკამ და აფხაზური მხარის აბსოლუტურმა უნდობლობამ ამ ხელისუფლების მიმართ. რა თქმა უნდა, სერიოზული როლი ითამაშა რუსეთთან ვითარების ასე დეკლარირებულად გამწვავებამ.

დეკლარირებულს ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ სწორედ ამ პოლიტიკის პარალელურად მოხდა რუსეთისთვის ყველა ეკონომიკურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების გადაცემა ხელისუფლების მიერ.

**— დღევანდელი გადასახედიდან ქართულ-აფხაზური ურთიერთობების რა პერსპექტივა ისახება? მით უმეტეს, რომ ჟენევის ფორმატი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.**

— ამაზე საუბარი დღეს, მეტად რთულია. საქმე ისეთ ცინიზმამდე მივიდა, რომ აფხაზეთი ვენესუელასა და ნიკარაგუაში საელჩოებს ხსნის. ეს ნონსენსია, მაგრამ ფაქტია. ასეთი ნაბიჯები ართულებს კონფლიქტის მოგვარებას, აფხაზური მხარისთვის ქმნის ილუზიას, რომ ისინი მართლაც დამოუკიდებლები და საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან. აქედან გამოსავლის ძებნა მეტად რთულია. მაგრამ პერსპექტივა, ჩემი აზრით, არსებობს.

**— აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა ერთი პერიოდი ყოფით დონეზეც აღდგა. ბოლო წლებში რა ვითარებაა?**

— ასეთი ურთიერთობები ახლა საერთოდ შეწყდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში, როდესაც მე კონფლიქტების დარეგულირების საკითხებზე ვმუშაობდი, აფხაზეთზე მეტად ცხინვალის რეგიონში იყო საქმე წინ წასული. გახსოვთ, ალბათ, ის წლები, როდესაც აჭარაში თავისუფლად შესვლა არც ისე მარტივი იყო და ბლოკ-საგუშაგოები იდგა. ამ პერიოდში ცხინვალში თავისუფლად , დაუბრკოლებლად შევდიოდით.

მნიშვნელოვანი კავშირები იყო ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის. ცხინვალის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები ჩამოდიოდნენ აქ, ჩვენები მიდიოდნენ ცხინვალში. საუბრები და შეხვედრები ქართულ ენაზე იმართებოდა.

ცხინვალში ქართული ლარი ბრუნავდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იქაური ვითომ მინისტრები და პრემიერ-მინისტრი ჩვენთან ჩამოდიოდნენ თათბირებზე. თითქმის დასრულებული იყო მოლაპარაკება, რომ ერგნეთის ბაზრობაზე, რომელიც მოუწესრიგებელი იყო, სიტუაცია დალაგებულიყო და ერთობლივი კონტროლის ქვეშ მოქცეულიყო.

ეს ამბები კარგად უნდა ახსოვდეს მიხეილ მაჭავარიანს, რომელიც იმ პერიოდში შემოსავლების მინისტრი იყო. ჩემთან ერთად ის ორჯერ იყო ცხინვალში და ყველაფრის საქმის კურსშიც გახლდათ. შემდეგ ეს პროცესები რატომღაც გაჩერდა და როგორ დასრულდა, ხედავთ.

2008 წელს დაწყებულმა ომმა ყველაფერი წაშალა. არ მინდა ვთქვა, რომ ამ კონფლიქტში ყველაფერი ჩვენი ხელისუფლების ბრალი იყო. არც ისე მარტივი გასაგებია, ვინ, რა და როდის დაიწყო. დალაგებული სიტუაციის სანაცვლოდ იყო შეტაკება და ვისი ბრალი იყო ეს, დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მაგრამ, შედეგი დადგა ის, რაც გვაქვს.

**დალი ბჟალავა**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოში ოპოზიციურმა არხმა დაიწყო მაუწყებლობა

მე-9 არხმა, რომელიც მილიარდერისა და ოპოზიციური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძეს ეკუთვნის, საქართველოში პარლამენტის არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო მაუწყებლობა.

ტელეარხის დირექციის სიტყვებით, პირველ ეტაპზე ტელეარხი გადასცემს საცდელ 15-საათიან მაუწყებლობას, რომელიც მოიცავს საინფორმაციო გამოშვებებსა და თოქ-შოუებს.

„დაახლოებით ივნისის ბოლოს ჩვენ ვაპირებთ, დავიწყოთ სრულფასოვანი მაუწყებლობა და ეს იქნება საინფორმაციო არხი, ამ არხის ფორმატი კი იქნება ანალოგიური ამერიკაში საკაბელო მაუწყებლობებისა", – განაცხადა ტელეარხის გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა „ბი-ბი-სის" რუსულ სამსახურთან ინტერვიუში.

ბექაურის სიტყვებით, ტელეარხი გარკვეულწილად მეცხრე არხის მემკვიდრე იქნება, რომელმაც მაუწყებლობა შეწყვიტა მიზეზების განმარტების გარეშე 2004 წელს, მალე ვარდების რევოლუციის შემდეგ, მაგრამ როგორც ფორმატი, ისე ბრენდი ტელეარხისა აბსოლუტურად სხვაგვარი იქნება.

მე-9 არხი დღეს კომპანია „აქცენტს" ეკუთვნის და მაუწყებლობის უფლება აქვს კაბელური ქსელისა და თანამგზავრის მეშვეობით. კომპანია „აქცენტის" წილის 80 პროცენტის მფლობელი არის მილიარდერისა და ოპოზიციური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე.

ივანიშვილი დღეს საქართველოში პარლამენტის არჩევნების დროს მმართველი პარტიის მთავარი კონკურენტია. შეგახსენებთ, არჩევნები უნდა გაიმართოს შემოდგომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა ვერ შეძლო აღედგინა საქართველოს მოქალაქეობა, მან განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ გახდეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.

პარლამენტის არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით პოლიტიკური ატმოსფერო საქართველოში იძაბება და მასთან ერთად ბრძოლაც ტელევიზიისთვის, რომელიც ინფორმაციის ძირითად წყაროდ რჩება მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის.

ამ დროს, მთელი რიგი ორგანიზაციების მონაცემების თანახმად, სიტუაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასთან დაკავშირებით ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში გაუარესდა. მაგალითად, ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსში 2011-2012 წლებში საქართველომ 104-ე ადგილი დაიკავა, დაკარგა სამხრეთი კავკასიის ქვეყნებს შორის ლიდერის ოპოზიცია.




ექსპერტების სიტყვებით, მაშინ, როდესაც ინტერნეტი და ბეჭდვითი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საქართველოში შედარებით უფრო თავისუფალია, უდიდესი ტელეარხები ხშირად ხდებიან არაობიექტურობისა და ხელისუფლების კონტროლქვეშ ყოფნის ბრალდების საგნად.

„რადიო თავისუფლების" თბილისის ბიუროს ჟურნალისტი ია ანთაძე ამბობს, რომ მაშინ, როდესაც უმრავლესობა საქართველოს რეგიონებში მოკლებულია ობიექტურ ინფორმაციას და შეუძლიათ მხოლოდ თვალყური ადევნონ პროსამთავრობო არხებს, მე-9 არხის მაუწყებლობამ რეგიონებში შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქართველოში მომავალ არჩევნებზე.

„ვფიქრობ, ძალიან ძნელი იქნება მივაღწიოთ იმას, რომ მე-9 არხმა მიაღწიოს რეგიონებს, – ამბობს ანთაძე. – იქნება შემთხვევები, როდესაც მოსახლეობას მოსთხოვენ არ დააყენონ ანტენა, თუნდაც იგი ნაჩუქარი იყოს. მაგრამ თუ უახლოეს მომავალში, თუნდაც უახლოესი ორი-სამი თვის განმავლობაში, მოსახლეობა მიიღებს რეალურ ინფორმაციას – ეს იქნება დიდი გარღვევა ქართულ სატელევიზიო სივრცეში".

ბექაურის სიტყვებით, რეგიონებში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ტელეარხის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

იმ დროს, როდესაც საქართველოს დედაქალაქში მე-9 არხს ეყოლება 15-17 გადამღები ჯგუფი, რეგიონებში გაიხსნება 35-მდე ოფისი და იქ იმუშავებს დაახლოებით 40 გადამღები ჯგუფი.

საწყის ეტაპზე ტელეარხი ხელმისაწვდომი იქნება რეგიონებში მოსახლეობის 20 პროცენტისთვის თანამგზავრის მეშვეობით. თუმცა, მზადყოფნა, ჩართონ ტელეარხი მაუწყებლობის თავიანთ პაკეტებში, გამოთქვა ჯერჯერობით მხოლოდ ორმა კომპანიამ.

ჟურნალისტ გიორგი ცქვიტავას სიტყვებით, პირველი დაპირება, რაც მან მიიღო, როდესაც მე-9 არხზე მოვიდა, ეს იყო სრული დამოუკიდებლობის დაპირება.

„თუ იქნება ცენზურა – მე უბრალოდ წავალ", – ამბობს ცქვიტავა.

მაგრამ, მიუხედავად ჟურნალისტების დარწმუნებისა სარედაქციო დამოუკიდებლობის შესახებ, ბევრს მიაჩნია, რომ ტელეარხისგან ობიექტურობასა და წინასწარ განუჭვრეტელობას არ უნდა ველოდოთ.

„ჩვენ საკმაოდ ბევრი სატელევიზიო არხი ვნახეთ, რომელთა უკანაც დგანან პოლიტიკური ფიგურები ანდა ფიგურები პოლიტიკური ამბიციებით. არანაირ წინასწარ განუჭვრეტელობასა და სხვა სიკეთეებზე საუბარი არ იქნება. ეს იქნება პოლიტიკური არხი, პოლიტიკური დღის წესრიგით", – ამბობს პირველი არხის ჟურნალისტი დავით პაიჭაძე.

მაგრამ, ანთაძის სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ტელეარხს მოუწევს ასახოს ივანიშვილის პოლიტიკური ინტერესები, ეს ინტერესები დაემთხვევა საზოგადოებრიობის ინტერესებს საქართველოში.

„საკითხი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ინტერესი დღეს – ეს არის დაუპირისპირდნენ პროპაგანდას ან დააბანდონ სერიოზული რესურსები იმისთვის, რომ შეიქმნას ხარისხიანი პროდუქტი, – ამბობს ანთაძე. – სიმართლე დღეს ყოველთვის როდი ემსახურება მთავრობის ინტერესებს, ამიტომ, მოსალოდნელია, ეს ტელევიზია აქცენტს გააკეთებს სიმართლეზე, რის შესახებაც „რუსთავი-2", „იმედი" და „საზოგადოებრივი" ტელევიზია დუმან".

თუმცა, არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის გამოყენების ცდუნება ძლიერდება, და მასთან ერთად იმის რისკიც, რომ მე-9 არხი გახდება პროპაგანდის იარაღი და არა ობიექტური ინფორმაციის წყარო.

„თუ ამ ტელეარხს აქვს მომავალი, ის უნდა დაიწყოს დღეს. მაგრამ თუ ეს ტელევიზია იქნება პროპაგანდისტული არჩევნებამდე, გარწმუნებთ, იგი იქნება პროპაგანდისტული შემდგომაც, – ამბობს ანთაძე. – ეს არის ის სქემა, ის ალგორითმი, რომელიც გაიარა არაერთმა მედიურმა ორგანიზაციამ საქართველოში".

BBC RUSSIAN.com

# აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისს არ ანებივრებს

აშშ-ს კონგრესში ხუთშაბათს გამართულ სხდომაზე, რომელიც მომავალ თვეში ჩიკაგოში დაგეგმილ ჩრდილოატლანტიკურ სამიტს მიეძღვნა, საქართველოს ნატოში გაწევრებისკენ მისწრაფებას სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ჩინოვნიკის მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერა არ მოჰყოლია. დიდი ხანია, რაც აშშ-ს ოფიციალური პირები მინიშნებებს აკეთებდნენ იმაზე, რომ სამიტზე საჭირო იყო საქართველოს რაიმე ფორმით დაჯილდოება მისი მხრიდან ბოლო დროს გადადგმული ისეთი კონსტრუქციული ნაბიჯების გამო, როგორიცაა კრემლთან შემხვედრ ნაბიჯზე წასვლა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრებისთვის. აი, რა განაცხადა ვაშინგტონის მომავალმა ელჩმა თბილისში რიჩარდ ნორლანდმა გასულ თვეში სხდომაზე, რომელზეც მისი კანდიდატურის დამტკიცება განიხილებოდა:

„აშშ-ს ადმინისტრაცია „სერიოზულ ძალისხმევას" ხარჯავს, რათა გამოიყენოს ნატოს დამდეგი სამიტი ჩიკაგოში იმისთვის, რომ „დააფიქსიროს: ის აღიარებს ამ სფეროებში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, და რომ იმუშაოს მოკავშირეებთან კონსენსუსის გამომუშავების მიზნით ამ მიმართულებით შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით".

ეს ჯილდო არ იქნება ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმა – საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საოცნებო მიზანი და ალიანსის წევრობის ფაქტობრივი გარანტია. მაგრამ ვაშინგტონს მაინც სურს საქართველოს აგრძნობინოს, რომ მის ძალისხმევას აფასებს (ბოლოს და ბოლოს საქართველომ ავღანეთის კოალიციურ ჯარში ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნაძ და იმავდროულად განაგრძობს მასზე ზემოქმედებას შემდგომი პოლიტიკური რეფორმების მიზნით. ნორლანდის თქმით, ის, თუ რო-



გორ გაიმართება დამდეგი არჩევნები, „ლაკმუსის ქაღალდი" გახდება საქართველოს ნატოში მისწრაფებისთვის: წელს ამ ქვეყანაში პარლამენტის არჩევნები, გაისად კი პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება, ხოლო სააკაშვილს, როგორც ჩანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ გზაზე რაც შეიძლება მეტი დაბრკოლება შეუქმნას თავის მთავარ ოპონენტს.

მაგრამ, თუკი აშშ გეგმავს ნატოს სამიტზე საქართველოსთვის რაიმე ძვლის გადაგდებას, მაშინ ამას ძალიან მოკრძალებულად აკეთებს. აი, რა განაცხადა ხუთშაბათს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში თინა ქეიდენაუმ:

„რაც შეეხება საქართველოს, ამერიკული დახმარება უსაფრთხოების სფეროში და თანამშრომლობა სამხედრო სფეროში ხელს უწყობს ქვეყანაში თავდაცვითი რეფორმების განხორციელებას, ასევე საქართველოს არმიის მომზადებას და აღჭურვას უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთშორისო ძალების ოპერაციებში მონაწილეობისა და ნატოსთან თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდისთვის. ამერიკული დახმარების პროგრამების საშუალებით რესპუბლიკას დამატებითი მხარდაჭერა აქვს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმირების საქმეში – საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, რომელშიც მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. აშშ კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ხოლო ჩვენი მხრიდან სეპარატისტული აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის რეგიონების არაღიარებასთან დაკავშირებული პოზიცია უცვლელია".

სტრიქონებს შორის კითხვისას, ხედავ, რომ ეს ყველაფერი რაღაც ძალიან შაბლონურია.

მოსმენაზე კვლევითი ცენტრების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა საინტერესო აზრი გამოთქვა. Heritage Foundation-ის მეცნიერ-თანამშრომლის ლიუკ კოფის თქმით, საქართველო ამტკიცებს, რომ მზადაა, არ ჩართოს ნატო კონფლიქტების დარეგულირებაში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან: „საქართველოს ნატოში გაწევრების გზაზე, მთავარი დაბრკოლება დასავლეთის აზრით, რუსეთის მხრიდან სამხრეთი ოსეთის და აფხაზეთის მიმდინარე ოკუპაციაა. ეს რეგიონები ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20%-ს შეადგენენ. კერძო რეჟიმში, საქართველოს ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ სიხარულით დათანხმდებიან ნატოში გაწევრების კომპრომისულ სქემას, რომლის თანახმად უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებული ნატოს წესდების მე-5 მუხლი დროებით, ამ საკითხის რუსეთთან დარეგულირებამდე, ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ გავრცელდება".

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



**გერმანიის სპეცსამსახურებმა კონტრაბანდულ პორნოში აღმოაჩინეს ევროპაში „ალ-ქაიდის" ტერორისტული აქტების გეგმები**

პოლიციელები გააკვირვა იმან, რომ სულ რამდენიმე წუთის ვიდეორგოლები შეადგენენ მთელი ამოღებული ინფორმაციის ძირითად ნაწილს, თუმცა ამ დროს ვიდეოს ხარისხი ჩვეულებრივზე უარესი იყო. აღმოჩენილ გეგმებს შორის არის ინსტრუქციები მუმბაიში სასტუმრო „ტრიდენტზე" თავდასხმისა და მშენებარე „ტიტანიკი-2"-ის ხელში ჩაგდების გეგმები.

* * *

**ნიუ-იორკში „ტყუპი კოშკების" ადგილზე გაჩნდა ცათამბჯენი, რომელმაც დაჩრდილა ემპაირ-სტეიდ-ბილდინგი**



ორშაბათს 387 მეტრის სიმაღლეზე მუშებმა საზეიმოდ დააყენეს 101-ე სართულის ფოლადის საყრდენი, რაც საშუალებას აძლევს შენობას, გახდეს ყოფილ რეკორდსმენზე 6,4 მეტრით უფრო მაღალი. შენობის სიმაღლე 541მეტრი, ანუ 1776 ფუტია – როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების წელი.

* * *

**ტიმოშენკოს ქალიშვილმა და ქმარმა გამოაცხადეს: ყოფილი პრემიერი შეიძლება უახლოეს დღეებში გარდაიცვალოს**



იულია ტიმოშენკოს სიცოცხლე შეიძლება „ნებისმიერ მომენტში შეწყდეს", განაცხადა მისმა ქმარმა და მოუწოდა მეუღლეს, შეწყვიტოს შიმშილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიხარებს მხოლოდ იანუკოვიჩი. „იგი მართლაც ძალიან ცუდადაა, დედა სულ წევს", განაცხადა მისმა ქალიშვილმა ევგენიამ. „არ ვიცი, თუ რამდენ ხანს შეუძლია დედას შიმშილობა", – ღელავს მისი ქალიშვილი.

* * *

**ბინ-ლადენის მკვლელობის წლისთავზე აშშ-ში ელოდებიან ტერაქტებს იმპლანტატური ბომბებით**

„ალ-ქაიდა", რომლის ლიდერიც 2011 წლის 2 მაისის ღამით პაკისტანში მოკლეს, შეიძლება ამზადებდეს აფეთქებებს თვითმფრინავებში, რომლებიც მიემართებიან ამერიკის შეერთებული შტატებისკენ, ეშინიათ სპეცსამსახურებს. ამ დროს ამერიკაში განზრახული აქვთ, საიდუმლოება მოხსნან ბინლადენის არქივის ნაწილს, „ნომერ პირველი ტერორისტის" მკვლელობა კი გადაიქცა წინასაარჩევნო რუკად.



◉ არდავიწყება მოყვრისა...

# მისი სასახელო საქმეები კი არის მისივე საუკეთესო ძეგლი, მაგრამ...

## თარიღი, რომლის ჯეროვნად აღნიშვნა თითოეული ჩვენგანის მარტო მოვალეობა კი არა, ღირსების საქმეა!

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია ხალხის კოლექტიური ისტორიული მეხსიერება, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნული თვითშეგნების მტკიცე საძირკველია. ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე ახსოვს ის ბრწყინვალე ხანა, როცა საქართველოს სამეფო ერთ ძლიერ ეროვნულ ძალას წარმოადგენდა. ხოლო მეფეთმეფე თამარი იყო სიმბოლო ქართველთა სოლიდარობისა და ძლიერებისა.

ქართველობა, ალბათ, არასოდეს ყოფილა ისე ლაღი, ამაყი და თავისუფალი, როგორც ჩვენი ისტორიის ოქროს ხანად წოდებულ XII საუკუნეში. თამარის ეპოქაში ქართულ სახელმწიფოს ასეთი სიმაღლისათვის ერთბაშად არ მიუღწევია. იგი შეიქმნა დიდი ქართველი მამულიშვილების ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის, მოღვაწეობისა და მეცადინეობის შედეგად. და მაინც განუზომელია თამარ მეფის მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში და განუსაზღვრელია მისდამი სიყვარული ქართველი ხალხის გულში. ღვთის სწორად მიიჩნევდა ქართველობა თამარს

> — **„არ არის კუთხე საქართველოისა, რომ იგი არ იდიდებოდეს ვითარცა:**
> **მშენებელი ციხე-კოშკებისა;**
> **გამყვანი რუი-არხებისა;**
> **ამშენებელი ტაძარ-მონასტრებისა;**
> **ანუ პატრონი ტაძარ-მონასტრებისა**
> **და მხვნელ-მთესველთა.**
> **საქმემან მისმან უკვდავჰყო თამარი და იგი ჰმარხია ქართველი ერის გულში“.**

— ასე აღგვიწერს ისტორიკოსი თამარ მეფეს.

800 წელია მისი სახელი ყოველ ქართველს პირზე აკერია. ეროვნული ერთიანობის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფოს გამოსვლას მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ასპარეზზე, რაც ეროვნული ღირსების შეგნების გამძაფრების მძლავრი სტიმული გახდა. თამარის შესახებ მემატიანე გადმოგვცემს, რომ მას ახასიათებდა **„ყოვლისა მამაცობათა მიმართ სიმარჯვენი ოდესმე რაინდობანი და მხედართა სიხელოვნენი და მკვირცხლი მოქმედებანი“**. ბასილი ეზოთმოძღვარი — ავტორი „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“ აცხადებს, რომ წინაპართა დატოვებული ტერიტორია მეფე თამარმა ერთიორად გაზარდა“.



და მაინც თამარ მეფეს სახელი და დიდება ქართველი ხალხის გულში მისმა ძლევამოსილმა ომებმა კი არ მოუპოვა, არამედ — ბრძნულმა შინაურმა და შორსმჭვრეტელურმა საგარეო პოლიტიკამ. თამარმა შექმნა პოლიტიკურად ერთიანი და ძლიერი ქართველი ერი. მან ალაგმა ქართველ დიდებულთა სეპარატისტული მიდრეკილებანი და პროვინციული ავტონომიები ერთ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილა. თამარი გახდა ქართველთა სოლიდარობის სიმბოლო. ამით აიხსნება ის იდეალიზაცია, რომელიც თან სდევს მის სახელს საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის ხსოვნაში. ყველაფერი, რაც კი გაკეთებულა ქართულ ცხოვრებასა თუ კულტურაში საუკუნეების მანძილზე, ეს ერმა მიაკუთვნა თავის სათაყვანო მეფეს. **„ვერავითარი მეცნიერული მსჯელობა ვერ ამოშლის ხალხის გულიდან იმ უცნაურ რწმენას, რომ თამარი რომ არ ყოფილიყო, რუსთაველის გენიოსობის ნაყოფიც არ გვექნებოდაო“,** — წერდა კიტა აბაშიძე.

თამარი ფიზიკურადაც იშვიათი სილამაზის ქალი ყოფილა. თამარი იყო ქალი **„სატრფო-საქვრეტი ვიდრე დაბნედამდის და გაქრა-გახელებამდის ყოველთა მისთა გამცდელ მხედთა“** — ჩახრუხაძე. ეს სილამაზე დიდი შინაგანი კეთილშობილებით იყო გაცისკროვნებული. ჰქონდა სიმდაბლე უზომო, თავის ხელით ნაქსოვ ტანსაცმელს თვითონვე აცმევდა დავრდომილებს, უპოვართ და ქვრივ-ობლებს. შუა საუკუნეების ბნელ ეპოქაში მთელ თავის საბრძანებელში კანონის ძალით მოსპო ადამიანის სიკვდილით დასჯა და დასახიჩრება რომელიმე ასოს მოკვეთით. და მართლაც მისი მეფობის ხანაში არავინ დასჯილა სიკვდილით, არც ასოს მოკვეთით და არც სიბრმავით. ეს იყო იშვიათი კაცთმოყვარეობისა და ადამიანობის უზენაესი აქტი.

არტურ ლაისტი წერდა — **„არასოდეს უცხოვრია რომელიმე ქვეყანაში ისეთ მეფეს, როგორიც შემდგომ თამარივით ამდენი გადმოცემის და ლეგენდის თემა გამხდარიყო. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ყოველ ციხე-სიმაგრეს, კოშკსა თუ გალავანს თამარის სახელს ეძახიან“.** ისტორიული მეხსიერება დიდებული ოქროს ხანისა გულს უმაგრებდა და რწმენას უბრუნებდა უმძიმეს წლებში თვით კატასტროფის წინაშე ქართველობას. XII საუკუნეში საქართველოში იჯდა ქალი, რომელიც თანამედროვეთა შორის უდიდეს თაყვანისცემას და აღფრთოვანებას იწვევდა. მის სახელს იცნობს განათლებული კაცობრიობა. დღესაც ვერ იპოვით ვერც ერთ ცოტად თუ ბევრად განათლებულ ადამიანს, რომელიც განცვიფრებას და პატივისცემას არ გამოხატავდეს ამ დიდებული პიროვნების მიმართ.

ჩვენდა სავალალოდ თამარ მეფის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. მემატიანის ცნობით იგი მიიცვალა იანვრის 18-ს. — სახელმძღვანელო ლიტერატურაში ძირითადად მიღებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული 1213 წელი. — ვკითხულობთ 2012 წლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ III ტომის მე-11 გვერდზე.

**1912 წლის 1 მაისს (ახალი სტილით 14 მაისს) ქართველობამ დიდი ზარზეიმით აღნიშნა თამარ მეფის გარდაცვალების 700 წლისთავი.** ამ იუბილემ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სათვისტომოებშიც. იმდროინდელმა ქართველმა სამღვდელოებამ გამოთქვა სურვილი საქართველოს დედაქალაქში თამარის სახელზე ეკლესიის აშენების შესახებ. ასევე ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდი სურვილი იყო საქართველოს დედაქალაქში თვალსაჩინო ადგილას, თამარ მეფის ძეგლის დადგმა. ჩვენი დიდი წინაპრების ეს სურვილები დღესაც განუხორციელებელია და ეს მაშინ, როცა ჩვენი დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და სკვერებს ამშვენებს: სობჩაკის, ჰეიდარ ალიევის, რეიგანის, კაჩინსკის და სხვათა ძეგლები. „დიდებულსა და სასაცილოს შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯიაო“, სწორედ ეს ითქმის ჩვენს წარსულსა და ახლანდელი მდგომარეობის შედარებისას.

> **თამარ მეფის იუბილე — ეს არის იუბილე ქართველი ერის ოქროს ხანისა. პატივისცემა და ღირსეული დაფასება ქართველი ხალხის 800-წლიანი ხსოვნისა. ბოლოს და ბოლოს ამაზე დიდებული, მნიშვნელოვანი და ღირსეული რა გვაქვს ქართველებს?!**

ამ თარიღის საყოველთაო აღნიშვნა სრულიად საქართველოს ერისა და ბერის, დიდისა და პატარის, ქალისა და კაცის არა მარტო მოვალეობის, არამედ ღირსების საქმეა. ღირსების გრძნობა კი არის ის, რასაც ეფუძნება ადამიანის არსი.

**დაე, ამ იუბილემ გაგვახსენოს და გვაგრძნობინოს, რომ ისევ ცოცხალია ქართველი ერი და თუ მან დაბადა დიადი ხანა, მასვე შეუძლია წარმოშვას დიდებული მომავალი!**

მედეა თავდიშვილი

◉ წიგნი

# ემიგრანტის ნააზრევი

## გამოვიდა ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ პოლიტიკოსთა შორის ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული ფიგურა იყო. ის მიხეილ (მიხაკო) წერეთელთან (1878-1965) ერთად საქართველოში ანარქისტული მიმდინარეობის ლიდერად გვევლინება. ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო საერთაშორისო დონის რევოლუციური მოღვაწე. საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი აღიარებული თავკაცი.

ვ. ჩერქეზიშვილი არ იყო მარტო თვალსაჩინო პოლიტიკოსი, ის იყო ძალზე ნიჭიერი პიროვნება, ერუდირებული, განათლებული, კოლორიტული ადამიანი, რომელსაც კარგად უჭრიდა როგორც ენა, ისე კალამი. იყო კარგი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, ისტორიკოსი.

ახლახან გამოვიდა ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომი. აქ ავტორი წარმოგვიდგება როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი. ამ თვალსაზრისით მისი მოღვაწეობა ფართო საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი.

წიგნის შემდგენელი და რედაქტორია ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი შველიძე. მისასალმებელია ამ საქმეში ახალგაზრდობის, პირველ რიგში კი მაგისტრანტების (ზაზა ცინაძე, თამარ სიდამონიძე, მანუჩარ გუნცაძე) ჩაბმა. ეს უფროსი და უმცროსი თაობების თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუშია. ახალგზდებმა საჭირო გამოცდილება შეიძინეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ უნდა დავივიწყოთ აკადემიკოს გურამ თევზაძის დიდი თანადგომაც.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიკაციებიდან წიგნიერი საქართველო გვესაუბრება. უწინარესად აღსანიშნავია, რომ ის შესანიშნავად იცნობს როგორც საქართველოს ისტორიას, წარსულს, კულტურას, ისე დასავლეთ ევროპის და ამერიკის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებს, შესანიშნავად იცნობს დასავლეთ ევროპის კულტურას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას, ისტორიულ და ფილოსოფიურ აზროვნებას.

დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით ვარლამ ჩერქეზიშვილის დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მას ბიძგი მისცა ემიგრაციაში, ინგლისში ყოფნამ. სწორედ ამაზეა ნათქვამი, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული, რომ ის დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში საკმაოდ ჩახედული ჩანდა. ეს განსაზღვრავს მის მეცნიერულ დონეს. ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში გვხვდება ახალი დროის გამოჩენილი პოლიტიკოსების სახელები: ნაპოლეონი, კრომველი, უილიამ ორანელი, მეტერნიხი, მაკიაველი, ლუთერი, კალვინი, პალმერსტონი, დიზრაელი, გლადსტონი, ბისმარკი, ვაშინგტონი, ლინკოლნი, გარიბალდი და სხვა.

ეს არ გახლავთ გამოჩენილი პოლიტიკოსების გვარების უბრალო ჩამონათვალი. ის ცდილობს, ქართულ საზოგადოებას გააცნოს მათი მოღვაწეობა და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ ისტორიული პერსონალებისადმი.

ვარლამ ჩერქეზიშვილს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკითხებზე საგანგებო ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ თავის ნაწერებში ის ეხება ამ თემას და ცდილობს, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი. მის მსჯელობას კულტურტრეგერულ ფუნქციასთან ერთად ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. ის არა მარტო გადმოგვცემს, არამედ ცდილობს, გაიზიაროს ამ მოვლენის თუ ისტორიული პერსონაჟის მოღვაწეობის მნიშვნელობა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის და ისტორიოგრაფიის საკითხებში საკმაოდ ჩახედულ პუბლიცისტთან.

ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველი ტომის გამოცემა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

მერაბ კალანდაძე

◉ ინფორმაცია

### თბილისის ინფექციური საავადმყოფო მისამართს იცვლის

თბილისის ინფექციური საავადმყოფო წლის ბოლოდან სანზონის დასახლებაში, ყოფილი კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ინფორმაციის თანახმად, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე მდებარე ტერიტორია, სადაც ათწლეულებია ინფექციური საავადმყოფო ფუნქციონირებს, კომპანია „ავერსმა“ შეიძინა და იქ რამდენიმე შენობა უკვე შეარემონტა.

### შიდსით ორი მამაკაცი გარდაიცვალა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრიდან აცნობეს, ორივე მამაკაცის ასაკი 40 წლამდეა და მათი გარდაცვალების მიზეზი დაგვიანებული დიაგნოსტიკა და თანდაყოლილი დაავადება გახდა.

2012 წლის მონაცემებით, საქართველოში სულ 165 ახალი შემთხვევაა გამოვლენილი. 37 ადამიანი გარდაიცვალა. შარშან ამავე პერიოდში 140 შემთხვევა იყო დაფიქსირებული.

ინტერპრესი

ფეხბურთი

# არც ჰო, არც არა

**დღეს თბილისის „დინამო" XXIII ეროვნული ჩემპიონატის პლეი-ოფის VIII ტურის მატჩს გამართავს „ზესტაფონთან". უმნიშვნელოვანესი გასვლითი შეხვედრისთვის ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს რამაზ მუმლაძე მოამზადებს, რადგან სეზონის განმავლობაში თანამდებობა დიღმელთა უკვე ორმა თავკაცმა – ალექს გარსიამ და გიორგი დევდარიანმა დატოვა. იმერ-ამერელთა პრინციპული ბრძოლის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „საზოგადოებრივი მაუწყებელი" 18 საათიდან შემოგვთავაზებს.**



რაც შეეხება „თეთრ-ლურჯთა" ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას, ამ დღეებში გაიჟღერა კახი ცხადაძის გვარმა, რომელიც ამჟამად ბაქოს „ინტერის" დამრიგებელია და აზერბაიჯანის ჩემპიონატის ფინიშზე ორი უმნიშვნელოვანესი თამაში ელის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი წარმატებული სპეციალისტია და საფეხბურთო სამყაროში შეუბღალავი რეპუტაციით სარგებლობს. კერძოდ, სწორედ მის სახელს უკავშირდება თბილისის „დინამოსა" და ბოლნისის „სიონის" მიერ სამშობლოში მოპოვებული ოქროს მედლები. არანაკლებ აფასებენ „პიპინოს" მეზობელ სახელმწიფოში, სადაც „ბაკი" ჯერ იქაური საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, ხოლო შემდეგ დსთ-ს ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

დაბოლოს, თვით კახი ცხადაძის კომენტარსაც გავეცნოთ, რომელიც, მართალია, ადასტურებს „დინამოში" დაბრუნების ვარიანტს, მაგრამ გადაჭრით მომავალი კონტრაქტის თაობაზე ჯერჯერობით არაფერს ამბობს: „დინამოსთან" მოლაპარაკებას რომ ვაწარმოებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია.

მოკლედ, ცოტაც და...

ჩოგბურთი

# წარმატებული სტარტი

**ქართველი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში 220-ათასიან საერთაშორისო ტურნირში ჩაება.** პირველ წრეში ჩვენებურებს მეტოქეობას უწევდა ბულგარელი ჩოგბურთელი ცვეტანა პირონკოვა, რომელიც მსოფლიო რეიტინგით 43-ეა, ხოლო მაღიართა ტურნირში მე-3 ნომრად იყო განთესილი. ტატიშვილმა სამ სეტში სძლია (1:6, 6:3, 6:1) მასზე 38 საფეხურით მაღლა მდგარ მოწინააღმდეგეს და 30 სარეიტინგო ქულაც გამოიმუშავა, რაც ქართველ სპორტსმენს ლონდონის ოლიმპიადის საგზურს აახლოებს.



* * *

**თურქულ ანთალიაში 10-ათასიან ტურნირზე ოქსანა კალაშნიკოვამ და სოფიო ქვაცაბაიამ წყვილთა პაექრობა მოიგეს.** ნახევარფინალში ჩვენებურებმა ანგელინა გაბულევასა (რუსეთი) და ოფირი ლანკრის (ისრაელი) სძლიეს – 7:6, 6:7, 10:4, გადამწყვეტ პაექრობაში კი ანა ბოგდანი (რუმინეთი) და მარია მოხი (რუსეთი) დაჯაბნეს – 6:4, 6:4.

ფარიკაობა

# საიმედო ცვლა



**თურქეთის, საქართველოს, რუსეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და კუვეიტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ 12-წლამდე მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ანკარამ უმასპინძლა.**

გოგონათა გუნდურ რაპირაში რუსთაველმა მარიამ ცუხიშვილმა და თბილისელებმა ლიკა ჯიჯეიშვილმა და ანა მელიამ გადამწყვეტ პაექრობაში თურქეთის პირველ გუნდს აჯობეს 45:35 და ოქროს მედალი მოიპოვეს. გუნდურ დაშნაში ქართველ გოგონებს (ნინო გაბუნია, ანა ბიბირაძე, თათია ჩხეტიანი–სამივე ქუთაისიდან) მხოლოდ ნახევარფინალში მოეცარათ ხელი რუმინელებთან და მესამე ადგილზე გავიდნენ. ინდივიდუალურ შეჯიბრებებში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს მარიამ ცუხიშვილმა და ნიკა შენგელიამ (თბილისი, ხმალი). ოზურგეთელმა გელა მჟავიამ დაშნაში მე-5 ადგილი დაიკავა.

ჭადრაკი

# საუკეთესოთა ასეულებში 13 ქართველია

**ქართველმა მოჭადრაკეებმა მარტ-აპრილში მრავალ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და ბევრგან წარმატებითაც, რაც ფიდეს რეიტინგ-ლისტშიც აისახა. ნანა ძაგნიძემ საუკეთესოთა ათეულში შეინარჩუნა ადგილი. იგი 2549 პუნქტით მეექვსეა.** სათავეში კი ისევ უნგრელი იუდიტ პოლგარი იმყოფება, რომელიც 2709 პუნქტით საგრძნობლად უსწრებს ჩინელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (2623). მესამე საფეხურზე ანა მეზიჩუკმა (სლოვენია, 2598) გადაინაცვლა. ათეულში შემდეგ მოდიან ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2589), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2549), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2546), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2532), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2530),



ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2529). ასეულში დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: 17. ბელა ხოტენაშვილი (2500), 32. ნინო ხურციძე (2456), 36. ლელა ჯავახიშვილი (2449), 44. ნინო ბაციაშვილი (2436), 57. სოფიკო ხუხაშვილი (2414), 61. სალომე მელია (2410), 63. სოფიკო გურამიშვილი (2408), 79. ნაზი პაიკიძე (2384), 82. თამარ წერეთელი (2383), 98. მაია ლომინეიშვილი (2366).

ვაჟებში რამდენი ხანია, პირველ ასეულში მარტოდმარტო იყო ბაადურ ჯობავა. თავისი სარეიტინგო მაჩვენებელი წინა ორ თვეში მან 2721-მდე გაზარდა და 25-ე ადგილზე გადავიდა. ასეულში შევიდა, ასევე, საქართველოს ნაკრების წევრი მიხეილ მჭედლიშვილი, რომელიც 2656 პუნქტით 96-ეა.

**ლექსო ცინცაძე**

64 უჯრა

# VII. ეტლი და კუ

**ეტლისა და კუს ერთობლივი მოქმედებით არსებობს მრავალი კომბინაცია.**

**„კომბინაცია შესანიშნავი ყვავილია, რომელიც შექმნილია ფანტაზიით, სიყვარულით, ზრუნვითა და ლოგიკით (დ. ბრონშტეინი).**

საინტერესოა ჭადრაკის ერთგული ქომაგის, თბილისის კოლორიტის ბ-ნ გოგი ქლენტის მოგონება: ზაფხულობით ბრონშტეინი ბიჭვინთის სტუმარი გახლდათ. მასთან, როგორც დიდ მოჭადრაკესთან, სასიამოვნო ურთიერთობა მაკავშირებს.

ერთ მშვენიერ დღეს ერთად მივუყვებოდით ბიჭვინთის სანაპიროს. ბრონშტეინმა ყურადღება შეაჩერა ჭადრაკის აზარტულ მოთამაშეებზე. ერთ-ერთმა მათგანმა ქვემოდან ახედა მომცრო ტანის, სუსტი აღნაგობის სათვალიან, შორტებში გამოწყობილ უცნობს და რიხიანად მიმართა: – ჩვენ აქ ფულზე ვთამაშობთ და, თუ გნებავთ, შემოგვიერთდითო. დიდოსტატმა პირველი პარტია განზრახ წააგო და შემდეგი ხუთი მოგებით გაანადგურა ვაიმოჭადრაკე, თანხა უკან დაუბრუნა და დასძინა: თქვენ გეთამაშებოდათ მსოფლიოს ექსჩემპიონი დავით ბრონშტეინი. ჭადრაკის ფედერაციაში რომ გაიგონ, ფულზე ვთამაშობ, აუცილებლად გამრიცხავენო.

1946



1. ... მd7. 2. ჰh6! – ე:e5
3. ჰ:g7+ – მ:g8 4. ჰe5+ – ჰg5
5. ე:g5X

გთავაზობთ დიდოსტატების ბრონშტეინის (თეთრები) და კოტოვის ორთაბრძოლის დაბოლოებას.

**მოამზადა
თამაზ შენგელიამ**

ინტერნეტიდან

## შარაპოვა იმარჯვებს შტუტგარტში



**ჩოგბურთში მსოფლიო რეიტინგის ლიდერის, ბელორუს ვიქტორია აზარენკოს დამაჯერებელი დამარცხებით – 6:1, 6:4 – დაამთავრა გერმანიაში მიმდინარე ტურნირი მარია შარაპოვამ და წლეულს ჩემპიონის პირველი, ხოლო კარიერაში 25-ე ტიტული მოიპოვა.**

შტუტგარტში გამარჯვებისთვის მარიამ 155-ათასი დოლარი და მსოფლიო რეიტინგის 470 ქულა მოიპოვა. თუმცა ვიქტორიას საერთო ანგარიშში მაინც ჩამორჩება 4:5.

## ლონდონის ოლიმპიადის დასაცავად

**ტერორისტებისგან დასაცავად ლონდონის ოლიმპიური თამაშების დროს ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო დედაქალაქის საცხოვრებელ სახლებზე საზენიტო-სარაკეტო სისტემების დადგმას აპირებს, რაზეც მოსახლეობაც წერილობრით გააფრთხილა. სამინისტრო მოსახლეობას არწმუნებს, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემებს მოემსახურებიან კარგად გაწვრთნილი და ნასწავლი ჯარისკაცები, ხოლო რეკეტებს გამოიყენებენ სერიოზული საფრთხის დროს მხოლოდ მთავრობის მითითების შემდეგ.**




თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 2-დან 10 მაისამდე გაიმართება სპეციალური სწავლება, რათა დააზუსტონ პოლიციისა და სამხედროების ურთიერთქმედების კოორდინაცია.

სამინისტრო აგრეთვე განიხილავს რაკეტების „დედამიწა-ცა" დადგმას სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონში.

## კლიჩკო და კრიმინალური სამყარო?

**კრივის უმძიმეს წონაში მსოფლიო ჩემპიონი WBC ვერსიით, უკრაინელი ვიტალი კლიჩკო უარყოფს თავის კავშირს კრიმინალურ ავტორიტეტებთან, რაც მას დააბრალეს ადგილობრივი პარლამენტის არჩევნების წინ.**



ინტერნეტში გამოჩნდა 1997 წლის ფოტო და ვიდეო, სადაც ძმები კლიჩკოები ალბეჭდილი არიან კრიმინალურ ავტორიტეტთან ვიქტორ რიბალკოსთან („რიბკასთან") და მის „მარჯვენა ხელთან" ანდრეი ბოროვიკთან. ამტკიცებენ, თითქოს ისინი უწყობდნენ კლიჩკოებს შეხვედრებს პრომოუტერ დაკ კინგთან ნიუ-იორკში.

ბოროვიკი მიახვრიტეს 2000 წელს კიევში, „რიბკა" კი ხუთი წლის შემდეგ.

როგორც ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, ის უამრავ ხალხს იცნობს, ხოლო დასახელებული ადამიანები არ იყვნენ მისი გუნდის წევრები. დიახ, მე ვიცნობ სპორტის მრავალ გულშემატკივარს, მათ შორის ამ ხალხსაც, ისლა აკლიათ, საბავშვო ბაღისა და სკოლის სურათებიც გამონახონ, სადაც მე ვდგავარ ისეთ ადამიანთან, რომელიც ახლა ძალზე კარგ და წესიერ კაცად არ მოიხსენიება".

15 წლისწინანდელმა ფოტოებმა ინტერნეტში სეირნობა დაიწყეს არჩევნების წინ, კლიჩკო კი პარტია „უდარის" ლიდერია. მას კი პარლამენტში მოსახვედრად ხმების 50 პროცენტს უქადიან.

სხვა გაზეთიდან

# უსარგებლო გენიოსი?

## მისი გამოგონებების შეფასება მხოლოდ ასეული წლების შემდეგ შეძლეს



**560 წლის წინათ, 1452 წლის 15 აპრილს, იტალიის ერთ პატარა ქალაქში, რომლის სახელიც ვინჩი იყო, მოხდა ამბავი, რომელიც, ბევრის აზრით, შეიძლება მთელი თანამედროვე ცივილიზაციის დასაწყისად მივიჩნიოთ. კონკრეტულად კი დაიბადა ბიჭი. ნათლობის დროს მას ლეონარდო უწოდეს. ბედისწერამ კი განუსაზღვრა მას, გამხდარიყო ყველა დროისა და ხალხის ყველაზე პროგრესული პერსონა.**

**„ლეონარდო და ვინჩის გამოგონებები და აღმოჩენები მოიცავენ ცოდნის ყველა დარგს, რომლებიც წინ უსწრებდნენ და სრულად განსაზღვრავდნენ კაცობრიობის დღევანდელ განვითარებას!“ — ეს ფრაზა უსათუოდ იქნება ნებისმიერ მასალაში ამ ადამიანზე. სიმართლის დიდი წილი აქ ნამდვილად არის. მისი დაბადების ვითარებაც კი მიუთითებს იმაზე, რომ მან მართლაც ბევრ რამეს გაუსწრო წინ. მაგალითად, ცნობილ რუს პოლიტიკოსს, რომლის დედაც იყო რუსი, მამა კი — იურისტი (მთარგმნელისგან: სტატიის ავტორს აქ მხედველობაში ჰყავს ვლადიმირ ჟირინოვსკი, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში სწორედ ასე უპასუხა ჟურნალისტის შეკითხვაზე მის წარმომავლობასთან დაკავშირებით). იმიტომ, რომ, ზოგიერთი მონაცემით, ლეონარდოს დედა, კატერინა, იყო სლავი მონა, ვინაც თურქი მონათვაჭრებისგან შეიძინეს, მამა კი პიერო, აბსოლუტურად დადასტურებულად, იყო ნოტარიუსი.**

### მეტიჩარა და უმეცარი?

**რასაკვირველია, ამგვარი პარალელები შეიძლება არასერიოზულად მოგვეჩვენოს. მაგრამ ზუსტად ასეთივე პრეტენზიები შეიძლება წავუყენოთ ნებისმიერ ენთუზიასტს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ლეონარდომ გამოიგონა, ვთქვათ, ტანკი, ველოსიპედი, თვითმფრინავი, შვეულმფრენი, წყალქვეშა ნავი, ტყვიამფრქვევი და ქიმიური იარაღი. ეს ყოველივე ისე ჩაჯდა ჩვენს შემეცნებაში, რომ ეჭვი შეგეპაროს ლეონარდოს პრიორიტეტში, რაღაც უხერხულიც კია — ხომ შემონახულია ყველა ხსენებული ხელსაწყოსა და აპარატის ნახაზები და აღწერები!**

ლეონარდოს უზომოდ გაბუქებული ავტორიტეტის შესაბამისად, ცოტა ვინმე თუ ფიქრობს ცხად ფაქტზე. კერძოდ კი: ასეთივე წარმატებით შეგვიძლია გამოვაცხადოთ საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსი ალექსეი ტოლსტოი დიდი ლაზერული დანადგარების გამომგონებლად. მასთანაც არის შემონახული სავსებით ვარგისიანი ნახაზები და აღწერები, რაშიც შეუძლია დარწმუნდეს ყველა, ვინც გადაფურცლავს მის რომანს „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“. სხვა საქმეა, რომ ამ ნახაზებისა და აღწერების მიხედვით ჰიპერბოლოიდის აგება ძნელად რომ მოხერხდეს.

რაღაც ამგვარი ხდებოდა ლეონარდოს „გამოგონებებთან“ დაკავშირებითაც. სახელგანთქმული ტანკი ძნელად რომ დაძრულიყო ადგილიდან. თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გამოირკვა, მოდელის მშენებლობის დროს ტანკის ბორბლებმა მოულოდნელად სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს ბრუნვა. აი, მის მიერ გამოგონებული ქიმიური იარაღის „საშინელ ზემოქმედებაზე“ მოწმედ გამოგვადგება აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი ინჟინერი: „თუ გინდა გამოიწვიო სიმყრალე, აიღე ადამიანის განავალი და შარდი, მყრალი ნაცარქათამა, კომბოსტო და ჭარხალი და ერთად ჩადე კარგად თავდახურულ შუშის ქილაში, და ერთი თვის განმავლობაში გააჩერე ნაკელის ქვეშ, შემდეგ გადააგდე იქ, სადაც გინდათ შექმნათ სიმყრალე, და ისე, რომ ქილა გატყდეს“. ვფიქრობთ, ამგვარი „საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების“ შესახებ კაცობრიობა საქმის კურსში იყო, როგორც მინიმუმი, ბიბლიური დროიდან.

მუშაკიც მისგან ვიშვიშა იყო. სახელგანთქმულ ფრესკაზე „საიდუმლო სერობა“ ის სამი წელი მუშაობდა, და ეს მაშინ, როცა ასეთ სამუშაოზე მას ჩვეულებრივად დაახლოებით ორი კვირა სჭირდებოდა. საქმე ისაა, რომ ლეონარდო მოქმედებდა სქემით: „ყველაფერი ოინბაზობაა, ფუტკრის გარდა“. თანაც პირდაპირი გაგებით. მას აინტერესებდა... ბაზების (მონადირე ფრინველის) ფრენა. აი, ქრისტე მოციქულებთან ერთად კი მივიწყებული რჩებოდა, სანამ მხატვარი რამდენიმე წლის განმავლობაში არკვევდა — მწერები თავს ატრიალებდნენ თუ უკანალს.



ქნევითმფრქვევი

ნუთუ ყველა დროისა და ხალხის მიერ აღიარებული გენიოსი — მხოლოდ გაბერილი ბუშტია?

**და ვინჩი 13 წელიწადი ქეიფებს ხელმძღვანელობდა.**

სხვათა შორის, ლეონარდო დროდადრო ამგვარ ფოკუსებშიც ვარჯიშობდა. აი, რას წერს მისი ბიოგრაფი ჯორჯო ვაზარი: „ის ხშირად ასუფთავებდა დაკოდილი ცხვრის ნაწლავებს და ბერავდა მათ ისე, რომ ისინი მთელ ოთახს ავსებდნენ. ამით ის გვიჩვენებდა, რომ რაიმეს, რომელსაც მცირე ადგილი უჭირავს, შეუძლია დაიკავოს დიდი და ამას ნიჭს ადარებდა“.

### შეიბრალა ბოცვერი

**და მაინც, მივიჩნიოთ ლეონარდო უბრალო მკვეხარად, იქნებოდა უსამართლობა და შეურაცხმყოფელი. სინამდვილეში გენიალურმა იტალიელმა მოგვცა სავსებით თანამედროვე ისეთი რამეები, რომელთა გარეშეც ცივილიზაცია სერიოზულად გაღარიბდებოდა. უბრალოდ, ისინი არიან იმ სფეროში, რომელიც არასერიოზულად გვეჩვენება.**



ტანკი

აი, მაგალითად, მან გამოიგონა პისტოლეტის მილისებრი საკეტი, სადაც კაჟის ნაპერწკალი გამოვარდებოდა მილიდან. ბევრი მწეველი, როდესაც სანთებელას ანთებს, იხსენებს განა აღორძინების ეპოქის ყველაზე სახელგანთქმულ პიროვნებას? ან ბევრი იხსენებს განა, როდესაც პირს ხელსახოცით იწმენდს, ლეონარდოს შემდეგ გამონათქვამს: „ჩვეულება — მივაბათ ბოცვერი სკამებს, რომ მასზე შევიმშრალოთ ქონიანი ხელები, მე არ მიმაჩნია იმ დროის შესაფერისად, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მე ასევე არ მომწონს ჩვეულება — შევიწმინდოთ ჩვენი კოვზი გვერდით მჯდომის ტანსაცმელზე. თითოეულს უნდა მისცე ჩვრის საკუთარი ნაჭერი, რომელიც შეიძლება გადავაგდოთ ხელის, ან კოვზის გაწმენდის შემდეგ, რომ არ დავამახინჯოთ მაგიდა?“



ტყვიამფრქვევი

ალბათ, ტანკი ან საბრძოლო წყალქვეშა ნავი შეიძლება ვილაცას გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და სოლიდურ გამოგონებად მოეჩვენოს. მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ მათთან საქმე ძალიან იშვიათად გვაქვს. და მადლობა ღმერთს. მე პირადად გაცილებით უფრო სასიამოვნოდ მეჩვენება, რომ ლეონარდო იყო არა მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის „ფუძემდებელი“, არამედ სასახლის წვეულებათა განმკარგავიც. დიახ, დიახ, მთელი ცამეტი წლის განმავლობაში მას ეკავა ეს პოსტი მილანის ჰერცოგის ლუდოვიკო სვორცის დროს. და სწორედ იქ დაამუშავა და დანერგა ყველასათვის და თითოეულისთვის ისეთი მოხერხებული და საჭირო რამეები, როგორებიცაა კვერცხსაჭრელი, ხორცსაკეპი, ლაეროგრიდი და ნივრის ხელით საწნეხი აპარატები. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს იტალიაში დღესაც „ლეონარდოს“ უწოდებენ. ამგვარი გავრცელება ვერ მიიღო, ალბათ, მისმა შტოპორმა ცაციებისთვის.

თავად ლეონარდო დი სერ პიერო და ვინჩი არც ცაცია იყო და არც „მემარჯვენე“, არამედ იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი დაფიქსირებული ამბიდექსტრი. ესე იგი ისეთი, რომელიც ორივე ხელს თანაბრად იყენებდა და რითაც სათავეში ჩაუდგა იმ რეალური და გამოგონილი ადამიანების სახელოვან კომპანიას, რომელშიც შედიან, მაგალითად, აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი, ნიკოლა ტესლა, პოლ მაკარტნი, ვლადიმირ დალი, მარია შარაპოვა, აგრეთვე მუშკეტერი ათოსი და შტანდარტენფიურერი მაქს ოტო ფონ შტირლიცი.



შვეულმფრენი

**კონსტანტინ კუდრიაშოვი**

Аргументы и факты

მხოლოდ კეთილი გულით ნათქვამი

# პროვინციიდან დანახული ქართული მედიის პარადოქსები

### 6. რეპორტაჟი შემთხვევის ადგილიდან

**აქამდე რაც ვთქვი კრიტიკული, ძირითადად (მხოლოდ, ძირითადად!) ტელეჟურნალისტებს ეხებოდა. ვინმემ არაობიექტურობა რომ არ დამწამოს, ახლა ცოტა ქებისაც უნდა ვთქვა.**

ასე, მაგალითად, მე ძალიან მომწონს ჩვენი ტელეჟურნალისტების რეპორტაჟები შემთხვევის ადგილიდან, უფრო სწორად — ამ რეპორტაჟების სტილი, ფორმა, ხერხი (როგორ ეძახიან დღეს, არ ვიცი). მე რო სტუდენტი ვიყავი, იმ დროს გვასწავლიდნენ: სიუჟეტი ლაკონური უნდა იყოს, ტექსტები და სიუჟეტები არ უნდა მეორდებოდესო და ა.შ. მე ამას მაშინაც არ ვეთანხმებოდი, არადა, ჩემს ჯგუფელებს ეგონათ, ვზარმაცობდი და იმიტომ არ ვსწავლობდი. გაცილებით უკეთესია, ყველაფერი პირიქით იყოს: რაც უფრო განმეორდება ერთი და იგივე და რაც უფრო გაიწელება სიუჟეტი, ბუნებრივია, უკეთ გაიგებს მაყურებელიცა და მსმენელიც.

ჰოდა, სწორედ ამ ხერხს წარმატებით იყენებენ ჩვენი ტელეჟურნალისტები.

ჯერ დიქტორი გამოაცხადებს.

მერე იგივეს იტყვის ჟურნალისტი, რომელსაც შემთხვევის ადგილზე დაუკავშირდებიან.

ჟურნალისტი გამოარჩევს შეკრებილთაგან (ეს ირის მაყურებლებიდან) ვინმეს: ჯერ ერთს, მერე — მეორეს...

მერე გაესაუბრება დაზარალებულებს (თუ ლაპარაკის თავი აქვთ)...

რა თქმა უნდა, საინტერესოა, რას იტყვის მომხდარ ფაქტზე შემთხვევის ადგილზე მისული პატრულის თანამშრომლები (სასურველია ორი მაინც)...

მერე ჩაიწერენ სასწრაფოს ექიმს ან სახანძრო ბრიგადის უფროსს (მომხდარ შემთხვევას გააჩნია)...

რეპორტაჟი დასრულდება საავადმყოფოს ექიმების დიაგნოზითან რაიონის გამგებლის თანადგომით (აქაც, ცხადია შემთხვევას გააჩნია).

ჰოდა, ჩემო ბატონო, ასე ყოველმხრივ და სრულყოფილად გაშუქებული შემთხვევა, ბუნებრივია, კარგადაც დაგვამახსოვრდება და არასოდეს წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან!

ეს რისთვის?

იმისთვის, რომ შემდეგში უფრო ფრთხილად ვიყოთ!

აბა, თქვენ რა იფიქრეთ?

ვინმე, ალბათ შემეკამათება: კარგი, თუ ძმა ხარ, უბრალოდ, ნერვებს უშლის მაყურებელს ამგვარი „რეპორტაჟებიო“!

**მეც მანდ ვარ! რაც უფრო ნერვებისმომშლელია რეპორტაჟი (მე, პირადად, წინწკლებში არ ვსვამ), მით უფრო დაამახსოვრდება მაყურებელს!**

**გური ხიოლია,**

საქართველოს პროვინციაში მცხოვრები პროფესიონალი მკითხველი და ტელემაყურებელი (ალაგ-ალაგ)

**გოდერძი კუპრავა, ბელა მაკალათია ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**რეზო შალვას ძე მაკალათია**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**მარინე ბაქრაძე, თორნიკე, თიკო, ვახტანგ ლალიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ირა მდივანი-ლალიძე**

**დაკრძალვა 4 V, პარიზში ლევილის სასაფლაოზე.**

**ჯამბულ ბაკურაძე, ვალერიან კანკია ოჯახით სამძიმარს უცხადებენ თამაზ ტაბატაძეს საყვარელი დედის**

**ქეთევანის**

**გარდაცვალების გამო.**

**არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)**

**საქმე №4-2012**

**ი.ბ.ა. „ქვეში-2008“-ის თავმჯდომარეს იოსებ კიკნაძეს პ/ნ 01008032766, თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, 3 მ/რ, I კვ., კორპუსი 14, ბინა №21 და სვეტლანა შაქაროვს პ/ნ 01020005974, თბილისი, სანავარდოს ქ. №37** გიბარებთ მოპასუხის სახით **საარბიტრაჟო სხდომაზე 2012 წლის 16 მაისს, 10 საათზე**, საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო სარჩელის გამო **შპს „პლანეტას“ და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №106.**

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# როგორ დალაგდება გენები?

**ჩვენი უდიდესი უმრავლესობისთვის გენეტიკა გამოუცნობი მეცნიერებაა.**

**ის კი, რაც გაურკვეველია, ყოველთვის გვაშინებს და არის კეთილნაყოფიერი ნიადაგი უამრავი მითისა და ხმისთვის.**

**მათგან ყველაზე გავრცელებულს კომენტარს უკეთებს ჩვენი ექსპერტი, ექიმი-გენეტიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იულია კოტალევსკაია.**

### მითი პირველი
### გენეტიკური დაავადება — ცუდი მემკვიდრეობის შედეგი

სინამდვილეში. თეორიულად რისკი, რომ შობონ ავადმყოფი ბავშვი, აქვს ნებისმიერ საქორწინო წყვილს. საშუალოდ ეს რისკი 5 პროცენტს უდრის. შემთხვევების უდიდეს უმრავლესობაში გენეტიკური ანომალიებით გაჩენილი ბავშვი სრულიად გაუთვალისწინებელი პროცესია. გენური დეფექტი ხშირად სპონტანურად ჩნდება საშვილოსნოში ცხოვრების პირველივე საათებიდან.



ამას გარდა, თითოეული ჩვენგანი საშუალოდ ხუთი მემკვიდრეობითი დაავადების ფარული მატარებელია. მაგრამ იმისთვის, რომ მოხდეს ამ რისკის რეალიზაცია, უნდა შეხვდე ადამიანს, ვისაც აქვს პათოლოგიური ცვლილებები იმავე გენში. ასეთი შეხვედრის ალბათობა კი ძალიან მცირეა.

### მითი მეორე
### არასრულფასოვანი ბავშვები იბადებიან სისხლით ნათესაური ქორწინებიდან

სინამდვილეში, ყოველთვის არა. სხვა საქმეა, რომ რისკი, შეხვდე ასეთ ქორწინებაში ადამიანს მსგავსი გენური მუტაციით, გაცილებით უფრო მაღალია: წინაპარი ქალსაც და მამაკაცსაც ხომ ერთი ჰყავთ. გენეტიკის ენაზე ამას „დამფუძნებლის ეფექტს“ უწოდებენ, რომლის დროსაც მემკვიდრეობისთვის გენების პათოლოგიური გადაცემის ალბათობა იზრდება. აი რატომ არის, რომ ასეთი ქორწინებანი სხვადასხვა ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო.

### მითი მესამე
### ავადმყოფი ბავშვის დაბადება სიმთვრალეში ჩასახვის შედეგია

სინამდვილეში ეს ასე არაა. ჩასახვის შემდეგ არის შედარებით უსაფრთხო პერიოდი, რომლის დროსაც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი მოძრაობს ქალის შინაგან სასქესო ორგანოებში იმპლანტაციის (მიმაგრებისძ ადგილისკენ საშვილოსნოს კედელთან დედის სისხლთან ერთად.

რაც არ შეიძლება არ ითქვას ორსულობის შემდგომ პერიოდზე, რომლის დროსაც ქალის მიერ სპირტიანი სასმელების მიღება არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში. განსაკუთრებით პერიოდში 12 კვირამდე, როდესაც ბავშვს უყალიბდება ყველა ორგანო და სისტემა.

### მითი მეოთხე
### ყველაფრის მიზეზი ორსულობის დროს წამლების მიღებაა

სინამდვილეში. ტერატოგენური მოქმედების იმ სამკურნალო პრეპარატების სია, რომლებიც ნაყოფს განვითარების უხეშ მანკებს იწვევენ, არ არის დიდი. მასში შედიან სიმსივნის საწინააღმდეგო, კრუნჩხვის საწინააღმდეგო პრეპარატები და ზოგიერთი ანტიბიოტიკი.

თანაც არის სიტუაციები, როდესაც ფეხმძიმე ქალის მიერ ზოგიერთი წამლის მიუღებლობა, როდესაც მას აწუხებს რომელიმე ქრონიკული დაავადება (ფარისებრი ჯირკვლის, გულის და ა.შ.ძ, უბრალოდ არ შეიძლება. მედიცინაში ამასთან დაკავშირებით არის ოქროს წესი: თუ პრეპარატის მიღების სარგებელი ზიანს აჭარბებს, მისი მიღება ფეხმძიმობის დროს შეიძლება.

იგივე შეეხება ნაყოფის ულტრაბგერით გამოკვლევას, რისიც ასე ეშინია ზოგიერთ ფეხმძიმე ქალს. და ხშირად გამოტოვებენ ხოლმე მომავალი ბავშვის მართლაც სერიოზულ პათოლოგიას. მრავალი წლის სამეანო-გინეკოლოგიური პრაქტიკა მთელს მსოფლიოში მოწმობს: ნაყოფის ულტრაბგერითი გამოკვლევა აბსოლუტურად უვნებელია.

### მითი მეხუთე
### ბავშვის გაჩენა გენეტიკური ანომალიით — მთელი ჯიშის საქმე წასულია

სინამდვილეში. იმის შანსი, რომ შობონ ჯანსაღი ბავშვი, არის იმ ოჯახებშიც კი, სადაც არასრულფასოვანი ჩვილის გაჩენის რამდენიმე შემთხვევა იყო. ყველაფერი დამოკიდებულია მოცემული გენეტიკური დაავადების ტიპზე. მაგრამ ამ რისკის გამოთვლა შეუძლია მხოლოდ ექიმ-გენეტიკოსს. აი რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი საკუთარი ჯიშის გენეალოგიური და სამედიცინო ისტორია, აგრეთვე თუ როგორ შეიძლება უფრო გულდასმით გამოვიკვლიოთ ოჯახში უკვე მყოფი ავადმყოფი ბავშვი. მისი დიაგნოზის ზუსტი ცოდნა დაგვეხმარება მომავალი ფეხმძიმობის დაგეგმვის ეტაპზე შევაფასოთ რისკი და თავიდან ავიცილოთ ოჯახური ტრაგედიის განმეორება.

არის აგრეთვე პრენატალური (საშვილოსნოსშიგნითაძ დიაგნოსტიკის მეთოდები, როდესაც ზოგიერთი დაავადების დროს ნაყოფის მახლობელი წყლების გამოკვლევის დახმარებით შეიძლება ზუსტად ითქვას, თუ როგორ ბავშვს „ატარებს“ გულსქვემოთ ეს ქალი.

### მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

**ფეხმძიმობის დროს ბავშვის განვითარების უხეში მანკი შეიძლება გამოიწვიოს ინფექციურმა დაავადებებმა (წითურა, ტოქსოპლაზმოზი, ათაშანგი, ჰერპესის ვირუსი) და დედის დაავადებებმა (აუტოიმუნური დაავადებანი, შაქრის დიაბეტი, ეპილეფსია, ფინილკეტონურია, ჰიპოტირეოზი).**

**ტატიანა ისმაილოვა**

ЗДОРОВЬЕ

## მილოცვა



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 156 ჯგუფის 1950 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ ჩვენს თანაკურსელს, საყვარელ მეგობარს, მაღალი რანგის ინჟინერს, დამსახურებულ მშენებელს, დიდი ქართული ოჯახის მამასა და დიდ ბაბუას **ირაკლი მილორავას** დაბადებიდან 85 წლისთავს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს თავისი საყვარელი სამშობლოს, ოჯახის და მეგობრების გულის გასახარად.

**ნელი გამყრელიძე, ლამარა მასხარაშვილი, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, ადიკო გვალია, კუკური ლალიაშვილი, ნოდარ მეძმარიაშვილი, კოტე უჩანეიშვილი, რეზო ხარატიშვილი, გუგა ჭოხონელიძე.**

## რას არ გაიგებ

# ამსტერდამში „წითელი ფანრების“ უბანში მეძავეებს რობოტები ჩაანაცვლებენ

**ახალზელანდიელი მეცნიერები სექსინდუსტრიის მომავალზე დაფიქრდნენ. მათი ხედვით, სექსტურიზმის მომავალ ანდროიდებს უკავშირდება.**

**ექსპერტმა ტურიზმის საკითხებში იან იომანმა და სექსოლოგმა მიშელ მარსმა ამსტერდამში „წითელი ფანრების“ ქუჩის სამომავლო სტრატეგია წარმოადგინეს. მათი აზრით, ანდროიდული პროსტიტუცია სექსმომსახურების ბაზრის ლიდერი გახდება. სექსმუშაკები ადგილს რობოტებს დაუთმობენ, რაც სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს ბოლოს მოუღებს.**



ჟურნალ „Futures“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „რობოტები, ადამიანები და სექსტურიზმი“ მეცნიერებმა სექსკლუბის მოდელი ჩამოაყალიბეს, რომელსაც სახელწოდება „Yub-Yum“- სი შეურჩიეს. ინტიმური მომსახურების გარდა, რობოტი-მეძავეების მოვალეობაში სტრიპტიზი და ეროტიკული მასაჟი შევა. სექს-რობოტის სრული მომსახურება თავგადასავლების მოყვარულ ტურისტს დაახლოებით ათასი ევრო დაუჯდება. „Yub-Yum“-ში სექსუალური რობოტის შერჩევა ნებისმიერი სქესისა და ნებისმიერი გემოვნების მომხმარებელს შეეძლება. ამგვარად, „წითელი ფანრების“ ქუჩაზე მისულ კლიენტებს სხვადასხვა რასის, ასაკისა და აღნაგობის სექსმუშაკები მოემსახურებიან.

მომავლის მეძავეები ანტიმიკრობული მასალისგან დამზადდება, რაც მას შესაძლო ინფექციებისგან დაიცავს. რობოტი ყოველი ახალი კლიენტის მომსახურების შემდეგ ავტომატურად გაიწმინდება, რაც დაავადებების გავრცელებას შეუშლის ხელს.

საინტერესოა ისიც, რომ ახალზელანდიელმა მეცნიერებმა არამარტო კლიენტების სხეულზე, არამედ მათ სულზეც იზრუნეს. სპეციალისტების თქმით, იმის გამო, რომ მომხმარებელს საქმე ექნება რობოტთან და არა ადამიანთან, ღალატისა და სინდისის ქენჯნის მომენტი ამ შემთხვევაში არ იქნება.

## ანეკდოტები

**— მამი, აბა თუ იცი, რას ნიშნავს „ძინ, ძინ, მია, მიაუ“?**
**— არა, შვილო.**
**— კატა მგზავრობს ტრამვაით.**
**— შეხედე შენ!**
**— მამიკო, თუ იცი, რას ნიშნავს „ტრახბახ, ვაი, ვაი“!?**
**— არა.**
**— ეს დედიკო დაბრუნდა სამსახურიდან.**

* * *

**ქმარი მივლინებაში მიდის და ცოლს ამშვიდებს:**
**— ნუ ტირი, მთელი წლით ხომ არ მივდივარ. ერთი თვეში აქ ვიქნები.**
**— კი, აბა! მასე თქვი შარშანაც, მაგრამ მეორე დღესვე დაბრუნდი და მომჭერი თავი იმ უცხო კაცთან!**

* * *

**ორი გურული კამათობს:**
**— აგი პრტყელი ლიანდაგი როა გასტორებულ-გაშვლიპინებული, აგი მრგვალი ბორბლები რეიზა რახუნობენ ზეთ?**



**— დამაყურე აგერ, ყაზილარო. აპა, შენ თუ მეტყვი, რას უდრის წრედის ფართობი?**
**— რას და პი ეს კვადრატს.**
**— ხოდა, მაი კვადრატია რო რახუნობს.**

* * *

**— ვგიჟდები მაღალი ტანის ქალებზე, — ეუბნება ერთი არაბი შეიხი მეორეს.**
**— მეც. ამას წინათ ორი კალათბურთის გუნდი შევირთე ცოლად.**

* * *

**— თქვენს ჟურნალში განცხადება მოვათავსე ჩემი დაკარგული ძაღლის თაობაზე, სადაც მპოვნელს 200 დოლარს ვპირდებოდი საჩუქრად. სად არიან თქვენი თანამშრომლები?**
**— მე დარაჯი ვარ , ბატონო, რედაქტორი და ჟურნალისტები დილიდან თქვენი ძაღლის მოსაძებნად გაცვივდნენ.**

* * *

**გურულმა, როგორც იქნა, დაარწმუნა კომისარიატის ექიმი, რომ მხედველობა არ უვარგოდა და იმ საღამოსვე კინოში შევიდა ახალი ამერიკული ფილმის სანახავად. ფილმი დაიწყო და, ჰოი, საოცრებავ, ეს ექიმი გვერდით არ უზის! გურული არ დაბნეულა, მიუბრუნდა ექიმს და ეკითხება:**
**— უკაცრავად, ბატონო, აი ავტობუსი ჩოხატაურში ხომ გეიარს?**

## კადრი




ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24